# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 6 მარტი 2003 №38 (1809) ფასი 50 თეთრი




## ალექსანდრე რეხვიაშვილი შეურაცხყოფასა და დეპრესიაზე ლაპარაკობს

### ქართველი ნახევარმცველი სკანდალურ შარში გაეხვა

*ირლანდიელთა სტუმრობამდე სამი კვირით ადრე საქართველოს ნაკრების ლონიერი ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი რუსებმა დეპრესიამდე მიიყვანეს.*

*რეხვიაშვილმა ორი თვის წინ ხელმოწერილი კონტრაქტი მიუგდო „ტორპედო-მეტალურგს“ და მის ამბიციურ გენერალურ მენეჯერ იური ბელოუსოვს. თურქეთში შეკრებაზე მყოფი მოსკოვური კლუბიდან ლტოლვილმა ქართველმა თურქეთშივე მყოფ რევაზ ძოძუაშვილის „სპარტაკ-ალანიას“ შეაფარა თავი. ძოძუაშვილმა სიხარულით მიიღო ნაშეგირდალი და იმავე დღეს დამამშვიდებელ რეცეპტად ამხანაგურ მატჩში თამაში გამოუწერა.*

*ვლადიკავკაზურ კლუბში რეხვიაშვილის გამოჩენამ რუსები გააცოფა — კონტრაქტის უგულებელყოფისთვის დისკვალიფიკაციით გადავუხდით სამაგიეროს რეხვიაშვილსო, იქადნება ბელოუსოვი.*

*ქართველის პასუხი მტკიცეა — ვერავითარი კონტრაქტი ვერ მაიძულებს შეურაცხყოფის მოთმენას.*


ინტერვიუ ალექსანდრე რეხვიაშვილთან
იხილეთ მეხუთე გვერდზე


## გია თორთლაძე პანი მონიკას 7 000 მეტრიდან გამოექცა





მოჯანყე ჩოგბურთელთა ერთ-ერთი მეთაური ალექს კორეჩაა

## მილიონერებს და ნახევარმილიონერებს ფული ეცოტავებათ

### ჩოგბურთის კაცები ჩოგბურთის მამებს აუჯანყდნენ

# უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP **მერვედფინალი. საპასუხო მატჩი** UEFA CUP

ვისლა (პოლონეთი) 1:2 *ლაციო (იტალია)* (3:3)

1:0 კუჟბა (3), 1:1 კოუტუ (20), 1:2 კიეზა (55)
ვისლა: პუგესი, სტოლარჩიკი, ბაშჩინსკი, კ. კოსოვსკი, გლოვაცკი, ჟურავსკი (პატერი 79), უჩე, სტრაკი (სიმკოვიაკი 64), ჟოპი, კანტორო, კუჟბა (დუბიცკი 72)
მწვრთნელი: ჰენრი კასპერჩაკი
ლაციო: მარკეჯანი, სტამი, ნეგრო, ფ. კოუტუ, ფავალი, ფიორე, სიმეონე, დ. სტანკოვიჩი (ლივერანი 90), სეზარი (ლაზეტიჩი 64), კ. ლოპესი, კიეზა (ჯანიკედა 77)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ნეგრო, კოუტუ, სტამი, ფავალი, სტანკოვიჩი, ჟოპი
მსაჯი: უილიამ კლარკი (შოტლანდია)
10 000 მაყურებელი

*მეოთხედფინალში „ლაციო“ შეხვდება თურქულ „ბეშიქთაშს“*

## გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**
**გადადებული მატჩები**

ალემანია 0:0 ფიურთი
დუისბურგი 2:2 კიოლნი
ბრაუნშვაიგი 2:1 ობერჰაუზენი

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**

ბაიერნი (მ) 1:1 ჰოფენჰაიმი

**თასის 1/2 ფინალი**

*ბაიერნი* 3:1 ლევერკუზენი

## ესპანეთი

**თასის 1/2 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

ოსასუნა 2:2 *უელვა* (0:2)
*მალიორკა* 1:1 დეპორტივო (3:2)

## ბელგია

**თასის 1/2 ფინალი**
**პირველი მატჩი**

სენტ ტრუიდენი 1:0 ბეერსხოტი

## შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

დანდი 0:0 ლივინგსტონი

## თურქეთი

**თასის 1/4 ფინალი**

*რიზე* 1:1დ.დ. (პენ. 4:1, 1:1) ძოჯაელი
*ტრაბზონი* 7:1 ანკარა
ბეშიქთაში 3:4დ.დ. (3:3) *გენჩლერი*

## უკრაინა

**თასის 1/2 ფინალი**
**პირველი მატჩები**

დნიპრო 0:0 შახტარი
ვოლინი 0:4 დინამო

## ამხანაგური მატჩი

ისრაელი 0:0 მოლდოვა

## ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩები**

მიდლსბრო 1:0 ნიუკასლი
მანჩესტერი 2:1 ლიდსი

**პირველი დივიზიონი**
**XXXV ტური**

დერბი ქაუნთი 0:1 კრ. პალასი
ნორვიჩი 0:1 რედინგი
შეფილდ უენსდი 5:1 ქოვენთრი
სტოკი 1:0 ბრაიტონი
ვულვერჰემპტონი 1:1 იფსვიჩი

**მეორე დივიზიონი**
**XXXV ტური**

სუინდონი — ჩელტენემი გადაიდო

## საფრანგეთი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

*სოშო* 1:0დ.დ. (0:0) ლილი
ბენიონი 0:5 *მონაკო*
ნანტი 0:2 *მეცი*

## პორტუგალია

**თასის 1/8 ფინალი**

*სეტუბალი* 3:0 კოვილია

## საბერძნეთი

**თასის 1/4 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

*ეგალეო* 1:1 პანათინაიკოსი (1:0)
*აეკ* 4:2 პანიონიოსი (1:1)

## ჰოლანდია

**თასის 1/4 ფინალი**

*პსვ ეინდჰოვენი* 2:1 ჰერენვენი
*აიაქსი* 4:1 გრონინგენი
*ფეიენოორდი* 3:1 ვიტესი

## ჩეხეთი

**გადადებული მატჩი**

სიგმა — სინოტი გადაიდო



REUTERS

მანჩესტერი — ლიდსი 2:1. ამ ზედახორაში კაპიტანმა ლუკას რადებემ „ლიდსი“ აზარალა: ბურთი საკუთარ კარში შეაგდო

## კალათბურთი

# ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. 5 მარტი**

**D ჯგუფი**

ცსკა 79:69 ციბონა
უნიკახა 74:75 ეფესი

**E ჯგუფი**

ულქერი 69:75 სკიპერი

**F ჯგუფი**

კინდერი 70:82 ბენეტონი

**G ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 69:59 ვილერბანი

# დავით ყიფიანის თასი

**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები**

# აი, ნანამ რა ჰქმნა?

## ჯარიმისას ყველა მას აუხტა, გოლი კი კვარაცხელიამ გაიტანა



ნანა ემონის ეგზოტიკურობამ გელა ქორიძე ვერ დააფრთხო

მამუკა კვანტალიანის ფოტო

თბილისი. 5 მარტი. 15 საათი. ლოკომოტივი. 700 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:0 მერანი-ოლიმპი

1:0 კვარაცხელია (77)

ლოკომოტივი: ლომაია, გოგინაშვილი (რუხია 46), ორბელაძე, ხალუქაძე, რ. ონიანი, კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი, მ. ბურნაძე, გალიარდო, სირაძე (ძოძუაშვილი 88), ნანა
*სათადარიგონი:* ივარდავა; გ. ონიანი, კაიდარაშვილი
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

მერანი-ოლიმპი: ნაჭყებია, ნადირაშვილი (გელა ქორიძე 26), გუჯაბიძე, დავითაძე, მიქიაშვილი, მესხი, მიკუჩაძე (გ. ნოდ. ქელიძე 63), გოგიჩაიშვილი, ბ. ნუგ. ქელიძე (კიკნეიშვილი 81), ხოჯავა, აფციაური
*სათადარიგონი:* გაბელია; ხარებავა, ქარდავა, ელიავა
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

გაფრთხილება: ხოჯავა (2), ნადირაშვილი (16), კვარაცხელია (22), რ. ონიანი (42)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი; ი. კახიანი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 36-19; კუთხური: 1-3; კარისკენ დარტყმა: 9-3; კარში დარტყმა: 5-7; თამაშგარე: 0-3

**მამუკა კვანტალიანი**

**ვერ გაამართლა** მერვედფინალების ცენტრალურ მატჩად მონათლულმა დედაქალაქურმა დაპირისპირებამ. გუშინდელი შეხვედრა უსახური და დუნე გამოდგა. მართალია, რკინიგზელებმა კინკილა გოლით სძლიეს მეტოქეს, მაგრამ რომც წაეგოთ, ვაკეში შეკრებილებს ნამდვილად არ გაგვიკვირდებოდა.

მასპინძლები თითქოს უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ტემპს ვერ უმატებდნენ და არწაგებისთვის მოთამაშე სტუმარიც ვითარების კონტროლს ახერხებდა. პირველ ტაიმში ვაკელებმა ერთი სახიფათო მომენტიც ვერ შექმნეს ნაჭყებიას კართან, სტუმარს კი ორი სახიფათო კონტრშეტევა გამოუვიდა, მაგრამ მათმა გაუბედაობამ და ლომაიას სიმშვიდემ მშვიდობა ბრძანა.

პირველ ტაიმში იყო მომენტი, როცა სტუმრები პენალტსაც ითხოვდნენ, ეს მაშინ, როცა მასპინძელთა კარისკენ დაძრული გოგიჩაიშვილი მცველთან ჭიდილში ზედ ხაზზე თუ ხაზს შიგნით წაიქცა. სადავო მომენტი მართლაც იყო. ერთი შეხედვით, გოგიჩაიშვილმა მეურვეს საჯარიმოში კი შეასწრო, მაგრამ მომენტთან ახლოს მყოფმა ლევან ფანიაშვილმა ხზვაგვარად განსაჯა.

გუშინ ლუის ცაკარიასს ძალიან აკლდა კაპიტანი გიორგი ბალაშვილი. მის არყოფნაში დაცვის მარჯვენა ფლანგი როინ ონიანმა ჩაიბარა, ხოლო მარცხნივ დავით ჭიჭველიშვილი იყო გამწესებული. ნახევარდაცვიდან დაცვაში ჭიჭველიშვილის დაწევამ დაცვის მარცხენა ფლანგი კი გაამაგრა, მაგრამ შუახაზს გაუჭირდა და ვერც ძირითადში მოთამაშე ახალგაზრდა გოგინაშვილმა შეძლო მარჯვენიდან თამაშის გამწვავება.

ძირითადში იყო განელი ნანა, რომელმაც დაუზარებლად კი იშრომა, მაგრამ დიდად თავი არ გამოუჩენია. მან რამდენჯერმე შეძლო საჰაერო დუელის მოგება, ერთი-ორჯერ რთულად მოსახელთებელი ბურთიც დაიურვა, თუმც მეურვე დავითნიძის ჯობნა მაინც ვერ შეძლო.

კობა ჟორჟიკაშვილს გუშინ სულიკო დავითაშვილი მოედანზე რომ ჰყოლოდა, იქნებ მასპინძლებისთვის მეტი პრობლემები შეექმნა. ეული ფორვარდით მობურთალი „მერანი-ოლიმპი“ „ლოკომოტივს“ მწვავედ ვერ უტევდა. მართალია, მიკუჩაძეს ცდა არ დაუკლია, თუმც ისიც ცხადია, ფორმაში რომ ვერ არის.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ლოკომოტივმა“ იძალა, მეტოქის საჯარიმოსაც საკმაოდ უტრიალა, მაგრამ მწყობრად მოთამაშე სტუმართა დაცვას ვერაფერი მოუხერხა.

ასეთ დუნე ბურთაობაში დროც იწურებოდა. თითქოს ფრეც გარდაუვალი ჩანდა, როცა ჯერ სტუმრებმა გამოიდეს თავი და კინაღამ გულის წადილიც აისრულეს. თორნიკე აფციაურმა მცველთან ჭიდილში ბურთი შეინარჩუნა, ადევნებული მეტოქე ერთხელაც მოატყუა და ოცდახუთიოდე მეტრიდან ცაციათი ძლიერად და ზუსტად გაისროლა. სტუმართა სამწუხაროდ, ლომაია ფხიზლად იყო, რკინიგზელთა მეკარემ ნახტომში ბურთი კუთხურზე მოიგერია. რამდენიმე წამის შემდეგ კიდევ ერთხელ ამოიგმინეს სტუმართა სათადარიგოებმა და ქომაგებმა — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ახლო ძელთან გოგიჩაიშვილმა თავი შეუშვირა და ხარიხასაც გაარტყა. ამის მერე ორჯერაც მოსინჯეს სტუმრებმა ლომაიას საიმედოობა და „ლოკომოტივიც“ გამოცოცხლდა.

77-ე წუთზე სტუმრები საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს დაჯარიმდნენ. უფრო სწორად, ლევან ფანიაშვილმა მიიჩნია ასე და სტუმართა პროტესტიც არად ჩააგდო. ბურთთან ბურნაძე მივიდა და კარის სიახლოვეს კარგადაც დაატრიალა. „მერანი-ოლიმპის“ მცველებმა მთელი ყურადღება ნანასკენ მიმართეს, კვარაცხელია კი უმეთვალყურეოდ დატოვეს და მისი თავურიც შედეგიანი გამოდგა.

დარჩენილ დროში არაფერი შეცვლილა, „მერანი-ოლიმპმა“ ვაკიდან არცთუ დიდი, მაგრამ შანსი მაინც გაიყოლა.

ნამატჩევს სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ინციდენტის გარეშე მაინც ვერ დაშორდა. რკინიგზელთა ნახევარმცველი გივი კვარაცხელია და „მერანი-ოლიმპის“ ტექნიკური დირექტორი ოთარ გაბელია წაეკიდნენ, თუმც მცირე გაწევა-გამოწევის და აყალ-მაყალის შემდეგ ორივე თავის გზას ეწია.

# მოფრინდი შავო მერცხალო? მევედი ძამა



ვლადიმერ გოჩაშვილმა (№10) ამ ჯერზე ვერა, მაგრამ გია გოგუას პირველივე ტაიმში კი გაუტანა

თბილისი. 5 მარტი. 15 საათი. ეროვნული. 150 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:0 ბათუმი

1:0 ბობოხიძე (47), 2:0 ანჩაბაძე (68)

**დინამო:** გვარამაძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი, სახვაძე, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, დარასელია (კვირკველია 69), ახალაია, მ. ბობოხიძე (გ. გ. მიქაძე 86)
*სათადარიგონი:* ზოიძე, ხიზანეიშვილი, კანდელაკი, მაზიაშვილი
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**ბათუმი:** ქვაჩახია, მახარაძე, გურეშიძე, გუშარაშვილი, თედორაძე, კობიძე, ქაცარავა, ი. შენგელია, დარჩიძე (სეფერთელაძე 71), ფირცხალაიშვილი, მოდებაძე (ფურცხვანია 86)
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე, ბეჟანიძე, დუმბაძე
**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**გაფრთხილება:** ბობოხიძე (18), გოგობერიშვილი (49)

**მსაჯები:** დ. სანაია; გ. ცირდავა (ორივე სოხუმი), გ. ნიგოგიძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 18-9; კუთხური: 5-0; კარისკენ დარტყმა: 4-1; კარში დარტყმა: 3-0; თამაშგარე: 0-0

# გამოვიდა ანჩამატჩი

დავით თავართქილაძე

**ცოტა არ იყოს,** მძიმე თამაში გამოვიდა, ფეხბურთელებს სიმსუბუქე აკლდათ, რაც ალბათ იმის ბრალია, რომ სეზონი ახლახან განახლდა.

მატჩი „დინამოს" კარნახით წარიმართა. შუშაკელები მეტოქეს ჯობდნენ და ამაში გასაკვირი არაფერია.

მაგრამ ბათუმელებს თავი ყინჩად ეჭირათ — ასლან ბალაძის ბიჭებს მუხლები არ აჰკანკალებიათ და ვაჟკაცურად გაისარჯნენ „ეროვნულის" არც თუ ხარისხიან მინდორზე.

პირველ ტაიმში დინამოელებს ერთადერთი საგოლე შანსი ჰქონდათ — ბათუმელთა საჯარიმოში მიხეილ ბობოხიძემ ოდნავ მახვილი კუთხიდან დაჰკრა ჰაერში აზიდულ ბურთს და ზურაბ ქვაჩახიას კარის შორეულ ცხრიანს ოდნავ ასცდინა.

ზღვისპირელები შებოჭილნი იყვნენ, შეტევაზე გადასვლა უჭირდათ, თუმცა მოედნის ცენტრში მედგრად ებრძოდნენ მეტოქეს — ამ საქმეში კახა კობიძე ყოჩაღობდა ყველაზე მეტად.

შესვენების შემდეგ კი სტუმრებმა სწრაფი გოლი გაუშვეს და მათი მხრიდან თამაშის შემობრუნება მართლაც პატარა სენსაცია იქნებოდა.

ვიტალი დარასელიამ მარჯვენა ფლანგიდან ცაციით ლონივრად დააბზრიალა ბურთი, რომელიც ქვაჩახიას კარის შორეულ კუთხეში ისე გავიდა, რომ გზად ბობოხიძემ შეუშვირა თავი.

გაშვებულმა გოლმა ბათუმელები თანდათან გაათამამა, ბალაძის შეგირდებმა ასე ვთქვათ, თამაში გახსნეს და დაისაჯნენ კიდეც — გიორგი ანჩაბაძემ სოლო რეიდი იკისრა, სამი მეტოქე ჩამოიცილა და ესტაფეტა დარასელიას გადაულოცა, რომელიც „ბათუმის" საჯარიმოში საპენალტოდ წააქციეს — 11-მეტრიანი კი ანჩაბაძემ შეასრულა უნაკლოდ.

ბათუმელთა გაახალგაზრდავებულ გუნდს მონდომებას ვერ დავუკარგავთ, მაგრამ აჭარლებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით — ბოლო წუთებზე ირაკლი შენგელიამ საჯარიმო დარტყმა დავით გვარამაძის კარის ხარიხას გადაავლო.

ხოლო თუ „დინამოს" აგრესიულობა აკლდა, ეს გრიპშეყრილი რატი ალექსიძის არყოფნითაც უნდა აიხსნას.

*ასლან ბალაძე:*

— კარგად ვიცოდით, ვის ვეთამაშებოდით და რა შანსი გვქონდა, მაგრამ შედეგით უკმაყოფილო ვარ. შესაძლებელი იყო, სულ სხვანაირად წარმართულიყო მატჩი, რომ არა უხეში შეცდომები დაცვაში. „დინამო" ძალიან კარგად დაბალანსებული გუნდია, მაგრამ ყველასთან შეიძლება გამარჯვებაზე ფიქრი, თუ სწორ ფეხბურთს ითამაშებ. გუნდი ასე რომ გადავახალისეთ, გავრისკეთ — ვანო მახარაძის გარდა ყველანი ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან. „დინამოდან" ანჩაბაძეს გამოვარჩევდი, ჩემებიდან კობიძეს და ნიკა გუშარაშვილს.

*ივო შუშაკი:*

— სათასო მატჩებში ყოველთვის მოსალოდნელია სენსაციები. ამ შეხვედრაში ფავორიტები ვიყავით და ეს დავამტკიცეთ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს დაპირისპირება 180 წუთი გრძელდება. მინდვრის ხარისხმა ხელი შეგვიშალა და ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც გვმართებდა. მეტოქე აგრესიულად გვეთამაშა, თუმც ვეცდებით, ბათუმშიც ეს შედეგი გავიმეოროთ. ცალკეული ფეხბურთელების გამოყოფა არ მიყვარს, მაგრამ რახან მკითხეთ, ჩემი გუნდიდან ანჩაბაძეს თამაშს ავღნიშნავდი, მეტოქიდან კობიძეს და მოდებაძეს გამოვარჩევდი.



მიხეილ ბობოხიძეს (ბურთით) მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია

თბილისი. 5 მარტი. 15 საათი. შევარდენი. 1 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:0 მერცხალი

1:0 გოჩაშვილი (28), 2:0 ინწკირველი (33)

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, კვახაძე (მუჯირი 46), კობიაშვილი, გველესიანი, ფეიქრიშვილი (ჯობაძე 62), ბოლქვაძე (გ. მერებაშვილი 70), დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დათუნაშვილი, ვ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* მერლანი; ლ. მერებაშვილი, ზაზაშვილი, დ. დოლიძე
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**მერცხალი:** გოგუა, კობაური, გ. კვირკველია, სიამაშვილი, გ. ილურიძე, გ. ნივნივაძე (კალანდარაიშვილი 86), მჟავანაძე, ჭინჭარაული, კალანდაძე, ასკურავა (გ. დოლიძე 71), სევასტოპულო
*სათადარიგონი:* როხაძე; ბართია, დ. არჩვაძე
**მწვრთნელი:** სერგო გაბელაია

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა, ზ. ჯგარიძე (ყველა თბილისი); გ. ახკარ-ოღლი (ქარელი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 11-14; კუთხური: 5-0; კარისკენ დარტყმა: 5-0; კარში დარტყმა: 7-1; თამაშგარე: 3-4

კობა ინასარიძე

**„ვიტ ჯორჯია"** — საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი და „მერცხალი" — თვრამეტთაგან ერთ-ერთი, რომელმაც 13 წლის წინ ეროვნულ ჩემპიონატში პირველად გააგორა ბურთი. გურულებმა, რომლებსაც ჩვენი პირველობის კვალობაზე საკმაოდ ნორმალური გუნდი ჰყავდათ, ის სეზონი ცხრილის შუაში, მეცხრე ადგილზე ჩაამთავრეს. მერე ოზურგეთელები უფრო რომ გაძლიერდნენ, მე-13 ადგილს ვერ ასცდნენ, 1992 წელს კი ქართულ უძლიერესთა ლიგასაც დაემშვიდობნენ. მას შემდეგ ოზურგეთის „მერცხალზე" — იყო ასეთი გუნდი თუ არა — ბევრს არც კი სმენოდა. ერთი სეზონი, ორი სეზონი, სამი, ოთხი — „მერცხალი" არავის გახსენებია. უფრო სწორად, გურულებს თავი არავისთვის შეუხსენებიათ.

ახლა კი სეზონის ნახევარი რომ მიილია, მიილია რაა და, საცაა ჩემპიონატი განახლდება, „მერცხალმა" ისევ მიიპყრო ყურადღება. ყიფიანის თასის მერვედფინალი და პირველ ლიგაში მესამე ადგილს ხუთი ქულით დაშორებული მეორე საფეხური ოზურგეთელთათვის ნამდვილად წარმატებული შედეგია, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით.

ჰოდა, აგერ, გურულები გუშინ მერვედფინალის პირველი მატჩის სათამაშოდ ჩემპიონატის ერთ ყოჩაღ გუნდს — „ვიტ ჯორჯიას" ესტუმრნენ. ამ წყვილში ფავორიტი თითქოს კენჭისყრისთანავე გამოკვეთილი იყო, მით უმეტეს, ახლა, როცა პირველი მატჩი უკვე შედგა და მასპინძლებმა 2:0 იმარჯვეს, თუმც იმის ახლავე თქმა, „ვიტ ჯორჯიამ" მეოთხედფინალი გაინაღდა, გადაჭარბებული იქნება.

თამაშის სტატისტიკაც თბილისელთა სასარგებლოდაა, მათ შვიდჯერ დაარტყეს კარში და ერთხელ დაურტყეს, ხუთჯერ კარისკენ და მეტოქეს არც ერთხელ, ამდენივე კუთხური ჩააწოდეს და მათ კართან არც ერთი ჩაწოდებულა. მატჩის მნახველნი დამერწმუნებიან, რომ ეს ციფრები მხოლოდ ციფრებია და მოედანზე შექმნილ ვითარებას არ ასახავს, მით უმეტეს, მეორე ტაიმის შუა მეოთხედში, როცა „მერცხალმა" მასპინძლები ცენტრს არ გადააშორა. პირველი სახიფათო მომენტიც სწორედ სტუმრებმა შექმნეს და სევასტოპულოს ბურთისთვის უკეთ რომ დაერტყა, ვინ იცის, ეგებ გოლიც გაეტანა: ასკურავამ მეტოქის საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი თავით დაუგდო პარტნიორს, რომელმაც მცველი პოზიციურად დაჯაბნა და ჭურაძეს შორეულ კუთხეში დაურტყა. სწორად რომ ვთქვათ, კარგად ვერ დაურტყა და მეკარეც მშვიდად დაეუფლა ბურთს.

მასპინძლებმა კი, რომელთა სათამაშო კლასიც აშკარად სჭარბობდა სტუმრებისას, საკუთარ კართან მეტოქის მოძალება რომ ნახეს, მაშინვე გოგუას შეუტიეს და ხუთწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიტანეს. ჯერ გოჩაშვილმა ისარგებლა მცველთა დაუდევრობით და ახლოდან გაიტანა, მერე კი დათუნაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ინწკირველი თავით შეწვდა და გოგუას შორეულ კუთხეში საგოლედ დაურტყა. მასპინძლებმა საქმეც აქ მოამთავრეს, თუმც შესვენების შემდეგაც რომ მოეხერხებინათ ანგარიშის გაზრდა, ოზურგეთს ალბათ უფრო მშვიდად ესტუმრებოდნენ.

ფოთი. ფაზისი. 5 მარტი. 15.00 საათი

### კოლხეთი 0:0 სიონი

ქობულეთი. ცენტრალური. 5 მარტი. 15.00 საათი

### ქობულეთი 0:0 დილა

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 5 მარტი. 15.00 საათი

### გურია 1:0 მილანი

1:0 ებრალიძე (65)

თბილისი. დერბის სკოლა. 6 მარტი. 15.00 საათი

### ჭაბუკთა ნაკრები — ტორპედო

თბილისი. სინათლე. 6 მარტი. 15.00 საათი

### დინამო 2 — სპარტაკი

*საპასუხო მატჩები 9 და 10 მარტს გაიმართება*

# დავით დილმელაშვილი მზადაა: ჩემპიონობისა და... ბავშვისთვის

## ნიჭიერი მოსწავლე საკუთარ თავს ზრდის

*გუშინდელ „ვიტ ჯორჯია" — „მერცხალის" სათასო მატჩში ფავორიტად, ცხადია, ვეტერინარული კლუბი ითვლებოდა. მასპინძლებმა 2:0 სძლიეს გურულებს და ალბათ მეოთხედფინალში გასვლაც არ გაუჭირდებათ. მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი კი „ვიტ ჯორჯიას" საყრდენი ნახევარმცველი, 23 წლის დავით დილმელაშვილი იყო. ვეტერინართა შუა ხაზის ლიდერი ურიგოდ არც ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ირჯებოდა.*

*დავითი „ვიტ ჯორჯიაში" უკვე მეოთხე სეზონია, თამაშობს, თუმც ამ დროში თურქულ „სამსუნსფორში" და იტალიურ „სიენაშიც" უბურთავია.*

*გუშინ ნამატჩევს დავით დილმელაშვილს შევხვდით და ფეხბურთის გარდა სხვა არცთუ უინტერესო თემებზე გავესაუბრეთ. სანამ რესპონდენტს პირველ შეკითხვას დავუსვამდით, მოულოდნელად გაკვირვებულმა გვკითხა, ხომ მშვიდობაა, ინტერვიუ რომ მთხოვეთო. თუმც მერე გაიღიმა და მიგვანიშნა, მზად ვარ, დავიწყოთო...*



დავით დილმელაშვილი (მარცხნივ) „ვიტ ჯორჯიადან" წასვლას ჯერ არ ფიქრობს

**— დღევანდელ მატჩზე რას იტყვი, რა შთაბეჭდილება დაგრჩა მეტოქეზე?**

— „მერცხალს" საერთოდ არ ვიცნობდით. უბრალოდ, გავიგეთ, რომ ამბობდნენ, კარგი გუნდიაო. ჩვენც სერიოზულად მივუდექით ამ თამაშს. ვფიქრობ, არ გაგვჭირვებია. თავიდანვე ვიზრუნეთ იმისთვის, რომ საპასუხო მატჩს სასურველი ფორით შევხვედროდით.

**— როგორ ფიქრობ, ეყოფა „ვიტ ჯორჯიას" ორბურთიანი უპირატესობა?**

— აუცილებლად. მეოთხედფინალში „ვიტ ჯორჯია" გავა. 2:0 კი მოვიგეთ, მაგრამ მეტის გატანაც შეგვეძლო. რამდენიმე რეალური მომენტი გავანიავეთ. თუმც არა უშავს, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ „მერცხალი" საპასუხო მატჩში დიდ პრობლემებს ვერ შეგვიქმნის.

**— „ვიტ ჯორჯიამ" საწვრთნელი შეკრება თურქეთში გაიარა. კმაყოფილი ხარ ამ შეკრებით?**

— თურქეთში კარგ პირობებში ვემზადებოდით. ამხანაგური მატჩებიც ვითამაშეთ და ფიზიკურადაც მოვღონიერდით. ვფიქრობ, ეს ჩემპიონატში ძალიან დაგვეხმარება. ვეცდებით, შესაძლებლობები სრულად გამოვაჩინოთ.

**— რა მიზანი გაქვთ ამ სეზონში?**

— უპირველესი ამოცანა ჩემპიონობაა. ყველაზე უარეს შემთხვევაში კი მესამე ადგილი დაგვაკმაყოფილებს. სხვა გზა არ გვაქვს. ამის მიღწევა ძალგვიძს და უნდა მოვახერხოთ.

**— „ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

— წელიწადნახევარში თავისუფალი ვიქნები.

**— და მანამდე საქართველოს ჩემპიონატში აპირებ თამაშს? ხომ არ ფიქრობ უცხოეთში ძალების მოსინჯვას, მით უმეტეს, ადრე უკვე თამაშობდი საზღვარგარეთ...**

— წინასწარ რა გითხრათ. თუ რამე სერიოზული ვარიანტი გამოჩნდა, აუცილებლად დავფიქრდები. კლუბის ხელმძღვანელობასთან ამის შესახებ შეთანხმებული ვარ და ვიცი, ხელს არ შემიშლიან. თუმც ჯერჯერობით „ვიტ ჯორჯიას" წევრი ვარ და სეზონსაც აქ ჩავამთავრებ. მერე რა მოხდება, ნაღდად არ ვიცი.

**— ისეთ ასაკში ხარ, ეროვნულ ნაკრებში თამაშზეც შეგიძლია ფიქრი...**

— რა თქმა უნდა, ეროვნულ გუნდში მოხვედრაზე ვინ არ ოცნებობს, მაგრამ... აქაური მომზადებით ცოტა ძნელია ამაზე ფიქრი. სხვა საქმეა, უცხოეთის რომელიმე კარგ გუნდში რომ ვთამაშობდე. იქ უკეთესი პირობებიცაა და მაშინ ნაკრების წევრებთან კონკურენციის გაწევაც შემეძლება, თუმც ხელი ჩაქნეული ნამდვილად არ მაქვს. ჯერ ყველაფერი წინაა.

**— უცხოეთი ახსენე და მეოთხე სეზონია, რაც საქართველოს ჩემპიონატში აგორებ ბურთს. როგორ ატყობ, ამ ხნის განმავლობაში რა დონესაც მიაღწიე, შესაძლებელია, აქ კიდევ მოუმატო, თუ უკვე უცხოეთში წასვლაზე ფიქრობ?**

— საქართველოში ყოველთვის ზრდა შეუძლებელია. აქ რაღაც დონეს რომ მიუახლოვდები, მერე დიდი შანსია, წინ ველარ წახვიდე. ამის მიზეზი უამრავია. უბრალოდ, კლუბებში შექმნილი პირობები რომ გავითვალისწინოთ, ყველაფერი ცხადი იქნება. მართალია, აქ ოთხიხუთი შეძლებული კლუბია, მაგრამ დანარჩენები ხომ ძირითადად გაჭირვებულები არიან. თანაც აქაური პირობები უცხოურთან ახლოს ვერ მივა. იქ ყველაფერი იდეალურადაა და ფეხბურთის გარდა არაფერი გაინტერესებს. ასეთ დროს წინსვლის შანსიც გაცილებით მეტია. ერთადერთი გზა ისაა, რომ საკუთარ თავზე იმუშაო. თუ რამის პრეტენზია გაქვს, შენი თავი შენვე უნდა მოამზადო. ყოველ თამაშზე მაქსიმუმი გაიღო და ვარჯიშებზეც არ იზარმაცო. ასე, როგორც ფეხბურთელი, ალბათ შეძლებ გაზრდას, ოღონდ შედარებით პატარა ნაბიჯებით.

**— ბევრი ფეხბურთელი ალმაცერად უყურებს უცხოურ კლუბში გასინჯვაზე წასვლას. ვთქვათ, შენ გამოგიჩნდა ასეთი ვარიანტი. დათანხმდები თუ არა ისეთ მიწვევას, როცა, როგორც ხშირად ხდება, შეიძლება უკანვე გამოგიშვან? და კიდევ, ფეხბურთელის პრესტიჟზე ეს არ მოქმედებს?**

— გააჩნია რა დონის კლუბი მიიწვევს ფეხბურთელს გასასინჯად. თუმც პირადად ეს ვარიანტი ნაღდად არ მხიბლავს. ასეთ მიწვევაზე დათანხმება დროის გაცდენა მგონია. წარმოიდგინე, უცებ უცხო კლუბში, უცხო გარემოში ხვდები, სადაც შენზე ბევრიც არაფერი იციან. იქ კი თავის გამოჩენას ცდილობ. ეს ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელი გადასალახია. ერთი-ორი ვარჯიში მართო გარემოსთან შესაგუებლად დაგჭირდება. და შესაძლოა ამის შემდეგ უარით გამოგისტუმრონ. ერთი სიტყვით, გასინჯვით ახალ კლუბში მოხვედრა უფრო მეტად გამართლებაა, ვიდრე რეალური შანსი.

**— მოედანზე საკმაოდ დინჯი ჩანხარ. ცხოვრებაშიც ასეთი ხარ?**

— ცხოვრებაშიც ისეთივე მშვიდი ვარ, როგორიც მოედანზე.

**— როგორ იყენებს დავით დილმელაშვილი თავისუფალ დროს?**

— ჩვეულებრივ, მეგობრები, ოჯახი... ეს არის ჩემი თავისუფალი დრო. თან ახლა ოჯახთან შედარებით მეტ დროს ვატარებ. მალე ბავშვს ველოდები.

**— ფეხბურთი რომ არა, რა საქმეს მოჰკიდებდი ხელს?**

— არ მიფიქრია. ისე საკმაოდ ნიჭიერი მოსწავლე ვიყავი და ალბათ რამეს მოვახერხებდი. თუმც მიხარია, რომ ოცნება ამიხდა და ფეხბურთელი ვარ.

**ქახა შალამბერიძე**



# უყვართ გურულებს ფეხბურთი

## სერგო გაბელაიამ ოზურგეთში იმედი ჩაიტანა

*ჩვენ ვბრუნდებით – არა ერთი და ორი ოზურგეთელისგან გაიგებთ ასეთ იმედიან სიტყვებს. „მერცხალი", რომელმაც უმაღლესი ლიგა 10 წლის წინ დატოვა, უძლიერესთა შორის დაბრუნებას ეშურება. 15 თამაში, 9 მოგება, 4 ფრე, 2 წაგება, 31 ქულა და პირველს ქულით ჩამორჩენილი მეორე ადგილი – ჩემპიონატის განახლებამდე ასეთია ოზურგეთელთა შედეგი.*

*მწვრთნელი გამოცდილი – სერგო გაბელაია, ფეხბურთელები, მით უმეტეს, სამი-ოთხი 33-35 წლის არის. პატრონი? ნახევარი გურია, გუნდს თავს რომ ევლება და უმაღლესში დასაბრუნებლად ამზადებს. მოკლედ, „მერცხალმა" ფრთა გაშალა და იქით გაუწევია, საიდანაც ფრთამოტეხილი ჩავარდნილა.*

— ოზურგეთში დღესდღეობით ყველა პირობაა საიმისოდ, რომ „მერცხალი" უმაღლეს ლიგაში დაბრუნდეს, გურულებს მოენატრათ ფეხბურთი, მოენატრათ თავისი გუნდი — ამბობს „მერცხალის" მწვრთნელი სერგო გაბელაია — ათი წელიწადია, ოზურგეთში ფეხბურთი არ უნახავთ. არადა, უყვარს ამ ხალხს ფეხბურთი, მატჩის დღეს ქალაქში ზეიმია. სტადიონი ყოველთვის სავსეა. ახლა წარმოიდგინეთ, ჩვენ თუ უმაღლესში დავბრუნდით, ოზურგეთში რა ამბავი იქნება.

**— ეგ გასაგებია, მაგრამ გკითხავთ, აქვს „მერცხალს" რეალურად უმაღლეს ლიგაში დაბრუნების პოტენცია?**

— აქვს, როგორ არა. ჩვენი მიზანი მხოლოდ ეს არის და სხვა შედეგი წარუმატებლად ჩაგვეთვლება. მეორე წრის დაწყებამდე ზუგდიდის „ლაზიკას" ქულით ჩამოვრჩებით, თუმც ვიმედოვნებ, ჩემპიონატს პირველ ადგილზე ჩავამთავრებთ.

**— თქვენ როგორ მოხვდით „მერცხალში"?**

— „მერცხალის" ტექნიკური დირექტორი, გუნდის სული და გული ბონდო გიორგაძე დამიკავშირდა და სამუშაო შემომთავაზა. მას ადრეც ვიცნობდი და ბევრი არ მიფიქრია, ისე დავთანხმდი „მერცხალის" გაძღოლას.

**— გუნდი მთლად ადგილობრივი ფეხბურთელებით არ გყავთ დაკომპლექტებული. რატომ, აღარ არიან გურიაში ტალანტები?**

— ვინ თქვა, რომ აღარ არიან. ოზურგეთში ძალიან ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელი იზრდება და მათ მალე იხილავთ ეროვნულ ჩემპიონატში.

**— თქვენ როდის ჩაიბარეთ გუნდი?**

— აგვისტოში. როცა „მერცხალში" მივედი, 22 ფეხბურთელი დამხვდა. ნახევარი ადგილობრივი, დანარჩენი მოწვეული. უმაღლესი ლიგის გათამაშება იმ დროისთვის უკვე დაწყებული იყო, ჩემთვის სასურველი მოთამაშეები კი თავიანთ გუნდებს განაცხადში ჰყავდათ შეყვანილი და მათი გადმობირება ველარ მოვახერხეთ.

**— ახლა კი „მერანის" ყოფილი ფეხბურთელები წაგიყვანიათ...**

— დიახ. ჭინჭარაული, ილურიძე, ბარქაია „მერანიდან" დავიმატეთ. თავდამსხმელი სევასტოპულო „დინამოდან". ვცდილობთ „ვიტ ჯორჯიადან" გიორგი ქორიძის გადაბირებას.

**— გიორგი ქორიძე „სიონმა", სადაც „ვიტ ჯორჯიას" ჰყავდა განათხოვრებული, მეტოქესთან გარიგებაში დაადანაშაულა...**

— ეგ არ მაინტერესებს. გიორგი კარგი ბიჭია და „მერცხალს" სჭირდება. ვიმედოვნებ, „ვიტ ჯორჯიასთან" მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება.

**— ისე ჩანს, რომ თავდასხმაში გიჭირთ. 15 თამაშში 21 გოლი, ალბათ დამეთანხმებით, ერთი-ერთი ლიდერისთვის ბევრი არ არის. თანაც პირველადგილოსან „ლაზიკას" 35 გოლი აქვს გატანილი.**

— „მერცხალის" ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ თავდასხმაა. ამიტომაც ვცდილობთ ქორიძის დამატებას და არც სხვა, კარგ ფორვარდზე ვიტყოდით უარს.

**— ყველაზე სუსტი რგოლი თავდასხმაა?**

— თავდასხმა და შუა ხაზი. შედარებით კარგად დაცვაში გვაქვს საქმე — სულ 8 გოლი გვაქვს გაშვებული, ეს თავისთავად მცველთა ყოჩაღობაზე მეტყველებს.

**— „მერცხალზე" ახალგაზრდული გუნდიაო, არ ითქმის. ვეტერანებით უმაღლეს ლიგაში არ გაგიჭირდებათ?**

— ჩემთვის ასაკს მნიშვნელობა ნაკლებად აქვს, თუ ფეხბურთელი კარგადაა მომზადებული, მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ითამაშებს კიდეც. მაგალითად, „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში მჟავანაძემ, რომელიც უკვე რა ხანია „მერცხალშია", ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ასევე კალანდაძემ, გოგუამ. ვეტერანები სანამ შეძლებენ და გუნდს გამოადგებიან, იქამდე ითამაშებენ. „მერცხალში" დღესდღეობით ვეტერანიც და ჭაბუკიც ერთნაირად შრომობს. ალბათ ამიტომაც გვაქვს ასეთი შედეგი.

**— ოზურგეთის სტადიონი ნგრევას გადაურჩა?**

— ტრიბუნა, გასახდელები, საშხაპეები, ყველაფერი მოწესრიგებულია, მოედნის საფარი ნორმალურია. სტადიონის ტერიტორიაზე საწვრთნელი ბაზაც შეკეთდა, გუნდი უმეტეს დროს სწორედ იქ ატარებს, კვების ბლოკი აღდგენილია, ვვარჯიშობთ, ვემზადებით.

**— მოკლედ, ბრუნდებით უმაღლეს ლიგაში...**

— ვბრუნდებით, ამისთვის ვიბრძვით. ვნახოთ, ვიმედოვნებთ, ყველაფერი კარგად იქნება.

**ქობა ინასარიძე**



# შუშაკის ფეშქაში

## ათი დღე ჯაკობიას

**ლაშა ჯაკობიამ** რომ თბილისის „დინამოში" დაიწყო ვარჯიში, სამშაბათის „სარბიელში" გაუწყეთ. გუშინ კი ამ 22 წლის ფორვარდის შესახებ დინამოელთა დამრიგებელმა ივო შუშაკმა ეს გვითხრა:

— ჯაკობიაზე მითხრეს, ნიჭიერიაო. თუმც ისიც გავიგე, რომ მას ორი წელიწადი სათანადო დონეზე არ უთამაშია. ის ახლა ჩვენთან ვარჯიშობს და კიდევ ათი დღე დავაკვირდებით. თუ ჩვენი და ფეხბურთელის სურვილები ერთმანეთს დაემთხვა, გადაწყვეტილებას მერელა მივიღებთ. თუმც ერთი კი უნდა ვთქვა, „დინამოში" მხოლოდ სამი თვით დარჩენაზე მოფიქრალი ფეხბურთელი არ გვჭირდება.

**დავით თამართძილაძე**

*საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი სკანდალურ სიტუაციაში აღმოჩნდა. „ტორპედო-მეტალურგთან“ კონტრაქტზე ხელმოწერილმა ქართველმა გუნდი დატოვა. მოსკოველები ბობოქრობენ, რუსული მედია ცეცხლზე ნავთს ასხამს, რეხვიაშვილი კი მის თავს დატრიალებულმა მოვლენებმა ლამის დეპრესიამდე მიიყვანოს. რუსული გაზეთები აჭრელებულია გუნდის მწვრთნელის სერგეი ალეინიკოვის მონოლოგით, გენერალური მენეჯერის იური ბელოუსის მუქარით და ამ დროს არავინ ინტერესდება თურქულ შეკრებაზე მყოფი რეხვიაშვილის მოსაზრებით*



*„ეს ფეხბურთელი ჩემთან მოვიდა, მითხრა, ფსიქოლოგიურ სტრესს განვიცდი და იქნებ ცოტა ხნით შეკრებიდან გამათავისუფლოთო. მე ვუთხარი, რომ ამის გაკეთება არ შემეძლო, ვურჩიე, უფროსობას დალაპარაკებოდა, მან ეს არ გააკეთა და გუნდი თვითნებურად დატოვა“ — ეს უთხრა რუს ჟურნალისტებს სერგეი ალეინიკოვმა.*

*„ტორპედო-მეტალურგიდან“ ნასულმა რეხვიაშვილმა თურქეთშივე შეკრებაზე მყოფ „სპარტაკ-ალანიას“ მიაშურა და იმავე დღეს ძოძუაშვილის გუნდში საკონტროლო მატჩი ითამაშა. რუსულმა გაზეთებმაც რუსეთის საფეხბურთო კავშირის წესდების პუნქტები ჩამოანიკეს — რეხვიაშვილი კონტრაქტის დარღვევისთვის 12-თვიან დისკვალიფიკაციას ვერ ასცდებაო. კატეგორიული იყო იური ბელოუსის განცხადებაც: „როგორც ჩანს, ვლადიკავკაზელებმა უკეთესი ფინანსური პირობებით გააბრუეს რეხვიაშვილი. ფეხბურთელს ურჩევნია, გონს დროულად მოეგოს და გუნდში დაბრუნდეს, თორემ ჩვენს გადაგდებას ვანანებთ.“ ასეთ ვითარებაში, როგორც ზემოთ ვთქვით, არავის უცდია რეხვიაშვილის პოზიციის მოსმენა.*

# ტორპედოს რეპრესიები, რეხვიაშვილის დეპრესიები

## არ გამაგონოთ მოსკოვი!

*ვითარებაში უკეთ გარკვევისთვის გუშინ ანთალიაში მყოფ რეხვიაშვილს იმ სასტუმროში დავუკავშირდით, „სპარტაკ-ალანია“ რომაა დაბანაკებული. ქართველი ნახევარმცველი უკვე რევაზ ძოძუაშვილის განკარგულებაშია, თუმც ჯერჯერობით ახალ თავშესაფარში ბევრიც არაფერი გაურკვევია და ვარჯიშის საშუალებაც არა აქვს, რადგან ორდღიანმა ქარიშხალმა და კოკისპირულმა წვიმებმა ლამის მთელი ანთალია დატბორა და იქ ჩასული ვლადიკავკაზელებიც, სხვათა მსგავსად, სასტუმროში არიან გამოკეტილნი.*

— ვიცი, რომ ბევრი კითხვა გაქვთ, ალბათ ათასი ბრალდება გაიგეთ ჩემზე. ყველაფერზე გიპასუხებთ, მიუხედავად იმისა, რომ ისეთ დღეში ვარ, მტერს არ ვუსურვებ.

**— ისეთი რა მოხდა, ასე რომ გამოგიყვანა წყობიდან, უჩვეულოა შენი ასეთი განწყობა.**

— ამ წუთში ფეხბურთელის მეტი ყველაფერი ვარ. როგორ გგონიათ, რას ვაკეთებდი განვლილი ორი თვის განმავლობაში. იტყვით, რომ ვემზადებოდი ახალ გუნდთან ერთად, ვთამაშობდი საკონტროლო მატჩებს. ეს არც სამზადისი იყო და არც თამაში. მე ვიყავი ჩემი თავის ბუღალტერი, მენეჯერი. ყველაფერი ვიყავი ფეხბურთელის გარდა და ასეთ სიტუაციაში ჩამაგდეს ტორპედოელებმა.

**— დაწვრილებით გვითხარი რა მოხდა.**

— ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგად იყო. ახალი გუნდი, ახალი კონტრაქტი, ახალი სიტუაცია, მაგრამ მალევე გავიგე, სადაც მოვხვდი. მოსკოველებმა ვერაფრით მოაგვარეს ურთიერთობა „სკონტოსთან“, ამის გამო, ბუნებრივია, მეც ვერ მისრულებდნენ საკონტრაქტო პირობებს. ორი თვის განმავლობაში ერთი კვირის წინ მომცეს უმნიშვნელო თანხა, ნეტავ, ისიც არ ამეღო. ფული ჩემთვის მთავარი არასდროს ყოფილა, მაგრამ ოჯახი მყავს და ბუნებრივია, პირველ რიგში მათზე ვფიქრობ. ასეთ ვითარებაში ვარჯიშზე და საკონტროლო მატჩებზე ბოლომდე ვერ ვიხარჯებოდი. საკუთარ თავზე დიდი კრიტიკოსი არავინ მყავს. რომ ვერ ვთამაშობ, ესე იგი რაღაც მიზეზი არსებობს. ეს გაურკვეველი სიტუაცია დამთრგუნველად მოქმედებდა ჩემზე. მწვრთნელები და ხელმძღვანელები ცეცხლზე ნავთს ასხავდნენ, გამუდმებით მაკრიტიკებდნენ. გუშინწინ კი მოთმინების ძაფი საბოლოოდ გამიწყდა.

**— რუსები ამბობენ, რომ გაუფრთხილებლად დატოვე გუნდი...**

— ტყუილია. მე არ ვარ უპასუხისმგებლო ადამიანი, არაკაცურად არავის მოვქცევივარ და ახლაც ყველაფერი ისე გავაკეთე როგორც სინდისმა მიკარნახა. გეტყვით, რაც მოხდა და თავად განსაჯეთ... იური ბელოუსმა გუნდის კრება დანიშნა და რუსეთის პრემიერლიგაში მერვე ადგილი დაგვისახა მიზნად. შეუძლებელია, ეს გუნდი მერვე ადგილს ვერაფრით დაიკავებს ჩემპიონატში. ბელოუსი კი კატეგორიული იყო. ეს იმით გახლდათ განპირობებული, რომ გუნდის ბევრ ფეხბურთელს, მათ შორის მეც, კონტრაქტში საკლუბო მიზანთან დაკავშირებით სპეციალური პუნქტები გვაქვს ჩადებული. ანუ თუ გუნდი დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს, ფეხბურთელები საკონტრაქტო თანხის სოლიდურ ნაწილს ვკარგავთ. „ტორპედო-მეტალურგისთვის“ კი მერვე ადგილზე გასვლა სასწაული იქნება, ამიტომ ბელოუსმა ერთი ხელის მოსმით მოინდომა დანაზოგის გაკეთება. ამაზე ყველამ პროტესტი გამოთქვა, მაგრამ გენერალური მენეჯერი შეუვალი იყო, როგორც ვთქვი, ისე იქნებაო. თუმც ამით ყველაფერი არ დამთავრებულა, ბელოუსმა მორიგი ვერდიქტით ყველა შოკში ჩაგვაგდო. პრემიალური თანხის მიღების სისტემა აბსურდულად ჩამოაყალიბა. ამ მექანიზმით, ფაქტობრივად, გმირობის ტოლფასია ამ გუნდში პრემიის მიღება. ბუნებრივია, ამაზეც აღვშფოთდით, უცებ მე მომიბრუნდა, შენ რა გაქვს სათქმელიო და სახალხოდ შემარცხვინა, ისეთი შეურაცხყოფა მომაყენა.

**— რა გითხრა?**

— არ შეუგინებია, ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი შეიტანა, მაგრამ დაუმსახურებლად და ცუდი ტონით. ლამის წყობიდან გამოვედი. თანაგუნდელები გაოცებულნი მიყურებდნენ, ჩას როგორ უთმენო, მაგრამ თავი შევიკავე. მალე კრებაც დამთავრდა, მაგრამ ვერაფრით დავწყნარდი. იმ წუთში ისეთი რამის გაკეთება შემეძლო, ნორმალურ ვითარებაში ჩემი ნამოქმედარი რომ გამაოცებდა... სალამოს თამაში გვქონდა, ძნელი წარმოსადგენი არაა, რა განწყობით გავიდოდი მოედანზე. ბუნებრივია, თამაში ჩავაგდე. ნამატჩევს ალეინიკოვს დავურეკე, ბელოუსთან შემახვედრე-მეთქი. შენი თამაშიდან გამომდინარე, სათქმელი არაფერი გაქვსო, უხეშად მიპასუხა. მწვრთნელს ავუხსენი, რომ სერიოზული პრობლემა მქონდა და ვთხოვე, შემხვედროდა ბელოუსთან ერთად. კარგი, ნახევარ საათში დაგირეკავო, დამპირდა. მომატყუა. გათენებას დაველოდე, განცხადება დავწერე, სადაც კონტრაქტის ის პუნქტებიც მივუთითე, რომლებიც კლუბმა დამირღვია. ეს განცხადება ალეინიკოვს მივეცი და წავედი.

**— მიხვედი ანთალიაშივე დაბანაკებულ „სპარტაკ-ალანიაში“.**

— საშინელ დეპრესიაში ვიყავი, ვერც კი ვაკონტროლებდი თავს. მშობლიური გარემო მიშველიდა და არცკი ვიცი რა მოხდებოდა, ვლადიკავკაზელები ანთალიაში რომ არ ყოფილიყვნენ. რევაზ ძოძუაშვილმა მამაშვილურად მიმიღო, დამაწყნარა, დახმარებას დამპირდა.

**— და იმავე სალამოს საკონტროლო მატჩში გათამაშა...**

— ვაღიარებ, ეს შეცდომა იყო ჩემი მხრიდან, მაგრამ ამ ორი თვის განმავლობაში იმდენი კრიტიკა მოვისმინე ტორპედოელთაგან, რომ ერთი ხელის მოსმით მოვინდომე ტვირთის მოშორება... ჰკითხეთ ძოძუაშვილს, როგორ ვითამაშე, თავს არ ვიქებ, მაგრამ გაოცებული მიყურებდნენ მწვრთნელები, ისეთ რამეებს ვაკეთებდი. გეგონებოდათ, ამ გუნდთან ერთად მქონდა ის ორი თვე გატარებული.

**— ახლა რას აპირებ, პრობლემას ის ქმნის, რომ ტორპედოელებთან კონტრაქტზე ხელი გაქვს მოწერილი.**

— ვერავითარი კონტრაქტი ვერ დაუდგება წინ ეთიკურ ნორმებს. ამის გარეშეც, ხომ ვთქვი, იმავე კონტრაქტის არაერთი პუნქტი მოსკოველებსაც უგულებელყოფილი აქვთ. ამ დარღვევებზე კონკრეტულად ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, ეს შეიძლება ჩემივე საზიანოდ გამოიყენონ... ბელოუსი უტიფრად ტყუის, თითქოს მე უკეთესი ფინანსური პირობებით მომხიბლეს ვლადიკავკაზიელებმა. ეს სიცრუეა, პირობებზე ძოძუაშვილთანაც კი არ მილაპარაკია.

**— ბელოუსი დისკვალიფიკაციით იმუქრება...**

— ბოლო ინფორმაციით, ვლადიკავკაზელები და მოსკოველები მოლაპარაკებას აწარმოებენ. „ტორპედო-მეტალურგი“ უკლებლივ მიიღებს ჩემზე დახარჯულ თანხას და გარკვეულ კომპენსაციას. როგორც ფეხბურთელი, ამ გუნდს არ ვჭირდები და არც მე ვარ იქ დამბრუნებელი. ვფიქრობ, ბელოუსი მოლაპარაკებას არ გააჭიანურებს, რადგან ფული მისთვის ბევრ რამეს ნიშნავს.

**— როდის მოგვარდება ეს საქმე?**

— „სპარტაკ-ალანია“ გეგმით 8 მარტამდე უნდა დარჩეს ანთალიაში და ვფიქრობ, თურქეთიდან გამომგზავრებამდე ყველაფერი გადაწყდება.

**პაატა ძგანტალიანი**



„ქოჯაელის“ ქართველობა თურქეთის თასს დაემშვიდობა

# დიდავა ყველგან, ქოჯაელი არსად

## თასის პატრონს ტეტე დაახალეს

### ქურთარი მატჩის შემდეგ დაცხრილეს

**„ქოჯაელისფორს“** გამარჯვება არც გუშინ ეღირსა. გიუვენჩ ქურთარის გუნდს თასის მეოთხედფინალურმა წილისყრამ მეორელიგელი „რიზესფორი“ არგუნა. რიზელთა მწვრთნელი ქურთარის მისვლამდე „ქოჯაელში“ მუშაობდა, თან შარშან მისი თაოსნობით ქოჯაელელებმა თურქეთის თასი მოიგეს. თასის მფლობელი, რაც ჩემპიონატის მეორე ტური დაიწყო, საშინლად თამაშობს და ცხრილის ფსკერზეც მყარად არის დასვენებული.

რიზეში მატჩი იმ სტადიონზე გაიმართა, შარშან ზაფხულში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თურქ თანატოლებს რომ სძლია. გიუვენჩ ქურთარმა ძირითად შემადგენლობაში ოთხიდან სამი ქართველი ათამაშა: გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე და გიორგი იმედაძე. ზაზა ჯანაშია მოედნის კიდესთან იდგა და მისი დებიუტი კვლავ არ შედგა.

მატჩის პირველი ტაიმი, ფაქტობრივად, წინ და უკან უსარგებლო სირბილში გაილია. თავიდან მასპინძლებმა შეუტიეს, მაგრამ საინტერესო ვერაფერი შექმნეს. სტუმრები კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, თუმცა ზედიზედ ორ ზუსტ პასს იშვიათად ახერხებდნენ. ტაიმის მიწურულს „ქოჯაელმა“ იძალა და ზედიზედ სამი კუთხურიც ჩააწოდა. ერთ ჩაწოდებულს გია იმედაძემ უთავაზა, მაგრამ დარტყმისას მცველმა უბიძგა და ბურთი ხარიხას გადაევლო.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს, რასაც მალე გოლი მოჰყვა. მარჯვენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდეს, სტუმართა მცველები რიზელ თავდამსხმელებში აირივნენ და „რიზესფორის“ შავკანიანმა ლეგიონერმა ტეტემ ორიოდ მეტრიდან ზუსტად დაჰკრა. დამხვდურები გოლმა დაამშვიდა, რითაც „ქოჯაელმა“ ისარგებლა და მეტოქის კარისკენ მიიწია. ხუთწუთიან მონაკვეთში სტუმრებს ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ. ჯერ იმედაძემ ამოუჭირა ბურთს სახიფათოდ, მერე კი თანაგუნდელს დროულად პასი რომ მიეცა, ქართველი პირისპირ შეეყრებოდა მეკარეს. „ქოჯაელმა“ საპასუხო გოლი მაინც გაიტანა. მარჯვენა ფლანგიდან დიდავამ შორეული ძლიან ჩაჰკიდა, ლაზაროვმა კარის წინ გააგორა და ენგინმა ჭვინტით შეაგდო. ამ გოლიდან ათიოდ წუთში იმედაძე შეცვალეს. სტუმართა ისედაც უხეირო შემტევები საერთოდ უკბილოდ დარჩნენ.

მეორე ტაიმში გივი დიდავა ყველაზე გამორჩეული იყო. დაცვაში ჩასვლასაც ასწრებდა, ფლანგებსაც ხშირად იცვლიდა და ოღნავ იღბალს რომ არ ეღალატა მისთვის, ეგებ მატჩის გმირიც გამხდარიყო. შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე დიდავას თავურმა ხარიხა აარახრახა. თავის მხრივ რიზელ ტეტესაც შეეძლო გატანა, მაგრამ კარის ხაზიდან წარმოუდგენლად აიცილა.

ძირითადი დრო ფრედ დასრულდა და დამატებითში უფრო მასპინძლებმა ივარგეს. სულ ცოტა, ორჯერ ოქროს გოლის გატანა მართებდათ, მაგრამ საქმე თერთმეტმეტრიანებამდე მივიდა. „ქოჯაელის“ მეკარე სულ ტყუილად იდგა. ოთხი პენალტიდან ერთსაც ვერ შესწვდა, თუმც ვერც მისმა თანაგუნდელებმა იყოჩაღეს. ერთადერთი თერთმეტმეტრიანი ზუსტად ლაზაროვმა შეასრულა. ქართველებიდან საპენალტო ნიშნულთან არავინ მისულა. გიუვენჩ ქურთარს, რომლის გვარიც „გადამარჩინეს“ ნიშნავს, გუნდის გადარჩენა ნამდვილად გაუჭირდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ამერიკამოვლილ დევიძეს სიონი ელის

**ინტერტოტოზე მეოცნებე** ბოლნისურ „სიონს“ სათასო მერვედფინალის წინ ერთი მოთამაშე უკვე შეემატა, ხოლო კიდევ ერთს უშუალოდ ჩემპიონატის განახლებამდე შეიყვანს განაცხადში.

„სიონის“ თავკაცმა იემურ მახარაძემ ორი ყოფილი მერანელი, კაპიტანი იოსებ დევიძე და ნახევარმცველი ალექსანდრე კოშკაძე ჯერ კიდევ ნაახალწლევს სათავისოდ შეიგულა. ორივე ფეხბურთელი ბოლნისში გათავისუფლების ფურცლებით ხელდამშვენებული ჩავიდა, იქაური კლუბის თავკაცებს პირობა დაუდეს, უცხოეთს მივეშურებით, მაგრამ თუ იქ ვერ მოვეწყვეთ, ისევ თქვენთან დავბრუნდებითო.

დევიძემ ოკეანისგაღმა, ამერიკული მეიჯორ სოკერ ლიგის „დი სი იუნაიტედში“ ამოჰყო თავი, ხოლო კოშკაძემ უკრაინა ირჩია და კიეველ არმიელებს ანთალიურ შეკრებაზეც გაჰყვა.

სხვადასხვა მიზეზების გამო არც ერთის ტრანსფერი არ შედგა, ბოლნისელებმა კი უკანდაბრუნებულებს დადებული პირობა შეახსენეს. კოშკაძემ „სიონთან“ ორჯერ ვარჯიშიც მოასწრო და გუშინ შუადღისას მახარაძის გუნდს „ფაზისურ“ ორთაბრძოლაშიც შეეშველა.

დევიძეს, რომელიც ამერიკიდან გუშინწინ გათენიისას დაბრუნდა, შინ სამწუხარო ამბავი დახვდა. ფეხბურთელს ბებია და ბაბუა გარდაეცვალა და, რა გასაკვირია, დროებით არ ეფეხბურთებოდეს, თუმც ბოლნისელებს ეიმედებათ, რომ დევიძე მათ გუნდს გააძლიერებს.

**მამუკა ძგანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რასაცა დასთეს...

## თასი მეორე ბუნდესლიგაში ხომ არ გაემგზავრება?



REUTERS

მასპინძელმა მარკუს ანფანგმა ტიმ ბოროვსკი შებოჭა

„ბაიერნის" გამარჯვება „ლაუტერნს" მომავალი სეზონისთვის უეფას თასზე უჯავშნის ადგილს, მიუხედავად იმისა, ფინალს ვინ მიიგებს. მოგეხსენებათ, „ბაიერნი" ბუნდესლიგაში ისე წინაა გაჭრილი, გაისად უეჭველად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და უეფას თასს „ლაუტერნს" გადაულოცავს.

გერმანიის ოთხგზის ჩემპიონი და თასის ორგზის მფლობელი (1990 და 96 წლებში) „ლაუტერნი" რომ უმძიმეს კრიზისშია, რა შეხსენება უნდა. კლუბს ყველაფერი ერთად დაატყდა თავს, ცუდად ხომ თამაშობს, 30 მილიონი ევრო ვალად აწევს და მის გასასტუმრებლად სტადიონის გაყიდვას აპირებს. ჰოდა, აქედან გამომდინარე თასის ფინალში გასვლა იქაურთათვის ორმაგად სასიხარულო უნდა იყოს.

ანგარიში სწრაფად გაიხსნა. მე-8 წუთზე მიროსლავ კლოზეს ჩაწოდებულს ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ლინკოლნმა თავი დაუხვედრა. პირველ ტაიმში მეტი არაფერი მომხდარა, შესვენების მერე კი „ლაუტერნმა" უპირატესობა განიმტკიცა. დიმიტრიოს გრამოცისმა სტუმართა კარისკენ საჯარიმო დაარტყა, ბურთი კლოზეს მიუვიდა და ამანაც ანგარიში გააორმაგა.

ამის მერე „ვერდერს" თამაშის გადარჩენის შანსი გაუჩნდა — მასპინძლებს უხეში თამაშისთვის ნახსენები გრამოცისი გაუგდეს და მარჯვედაც შეუტია. ამის შემხედვარე ერიკ გერეტსმა ტაქტიკა სახელდახელოდ შეცვალა, დაცვა გააძლიერა და კონტრიერიშებზე დაიწყო თამაში. ამგვარმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ლაუტერნელებმა სტუმრები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და შეცვლაზე შესულმა კრისტიან ტიმმა მესამე შეაგდო.

„თამაშს მთელი 90 წუთი ჩვენ ვაკონტროლებდით — თქვა ნამატჩევს გერეტსმა — გამარჯვება აშკარად დავიმსახურეთ და კმაყოფილი ვარ".

„ვერდერის" მწვრთნელმა თომას შააფმა კი ისლა დასძინა, დაცვაში როგორც ვითამაშეთ, ისეთი შედეგი მოვიმკეთო.

### გერმანია

**თასის 1/2 ფინალი**

**კაიზერსლაუტერნი 3:0 ვერდერი**

1:0 ლინკოლნი (8), 2:0 კლოზე (62), 3:0 ტიმი (80)

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი, ჰ. რამზი, კნავსი, ჩატო, ანფანგი, სფორცა, ლინკოლნი (რიდლი 82), დომინგუში (ტ. კლოსი 65), ლოკვენცი (ტიმი 77), კლოზე

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ვერდერი: ვიერხოვსკი, სტალტერი, ვერლაატი, კრისტაჯნი, სკრიპნიკი, ბოროვსკი (ლისტეში 71), ფ. ერნსტი, შულცი (აილტონი 55), მიკუ, დაუნი, რაიხი (ხარისტიასი 60)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: სფორცა, კრისტაჯნი, ვერლაატი

გაძევება: გრამოცისი (63)

მსაჯი: ვაგნერი

28 335 მაყურებელი

სათასო მატჩები იმითაც არის მომხიბვლელი, რომ ძლიერსა და სუსტს არ არჩევს, ანუ ერთმატჩიან პლეი ოფში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. გუშინწინ ბუნდესლიგის ბოლოადგილოსანმა „კაიზერსლაუტერნმა" ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე მეოცნებე „ვერდერი" დაამარცხა და თასის ფინალში გავიდა.

როცა ეს მიმოხილვა დაიწერა, მეორე ნახევარფინალური მატჩის შედეგი ცნობილი არ იყო (შედეგი იხილეთ მეორე გვერდზე) და ამიტომ ასე ვთქვათ: თუ მეორე ფინალისტი „ლევერკუზენი" გახდა, გამოდის, რომ თასისთვის ბუნდესლიგიდან გასავარდნად გამზადებული გუნდები იბრძოლებენ, ხოლო

**ირაკლი ნინიძე**





მიგელ მუნიოსის რეკორდამდე ვისენტე დელ ბოსკეს კარგა ხანი უკლია

# 2010 წლის ივნისში დელ ბოსკე მუნიოსს დაეწევა

შაბათს მადრიდის „რეალი" პრიმერადივიზიონის ტურში სანტანდერის „რასინგს" მასპინძლობს. ეს შეხვედრა დედაქალაქელთა მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკესთვის 140-ე იქნება ესპანეთის ჩემპიონატში, რითაც ის „რეალის" მწვრთნელთა შორის, ჩატარებული მატჩების რაოდენობით მეორე ადგილზე ალზევდება. ახლა დელ ბოსკე მეორე ადგილს ლეო ბეენჰაკერთან ინაწილებს, ბეენხაკერი კი „რეალს" 90-იანი წლების დასაწყისში წვრთნიდა.

ლეგენდარული მიგელ მუნიოსის საოცარ რეკორდამდე დელ ბოსკეს ძალიან ბევრი უკლია. მის გამეორებას ულვაშა მწვრთნელი მხოლოდ 2009-10 წლების სეზონის ბოლოსწინა ტურში შეძლებს — ცხადია, პოსტზე იქამდე თუ გაძლო.

„რეალის" ბევრმატჩიან მწვრთნელთა სია ასე გამოიყურება:

მიგელ მუნიოსი — 417
ვისენტე დელ ბოსკე — 139
ლეო ბეენჰაკერი — 139
ლუის მოლოვნი — 120
მილიან მილიანიჩი — 107

ვისენტე დელ ბოსკეს კი პრიმერადივიზიონში ასეთი შედეგი აქვს:
თამაში — 139; მოგება — 75; ფრე — 29; წაგება — 35; ბურთები — 269:160

ამის გარდა დელ ბოსკე „რეალს" სხვა ტურნირებში 94-ჯერ გაძღოლია.

# ეტიენი თასში ვერ ჩაეტია

### საფრანგეთი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

**სენტ ეტიენი 0:2 მარსელი**

0:1 ფერნანდაო (31), 0:2 საკო (49)

ოდესღაც სახელოვანი კლუბი „სენტ ეტიენი" დღეს საფრანგეთის მეორე დივიზიონში დასარჩენად ოფლს ღვრის. ბოლო მატჩებში თამაში გამოასწორა კიდეც, რამაც გუნდის ქომაგებს გული მოულბო. ამიტომაც თასის მეოთხედფინალში სტადიონზე 33 ათასმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი და მოლონიერებული „მარსელის" ძლევის მოლოდინში ხელებს იფშვნეტდა.

მასპინძლებმა ლაღად დაიწყეს და მეტოქეს გულმოსულები მიაწყდნენ. დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ეჯაჯგურნენ ზემოდივიზიონის ლიდერს, მაგრამ კლასში სხვაობამ მაინც იძალა. „მარსელმა" მოწინააღმდეგე მოათვინიერა და თავად შეუტია. „სენტ ეტიენის" დაცვა აირია, შეცდომებს უმატა და გოლმაც არ დააყოვნა. სტუმართა ბრაზილიელმა ღუშ სანტუშმა ფერნანდაოს საჯარიმოში მიჰგვარა ბურთი, რომელმაც თერთმეტიოდე მეტრიდან ზუსტად დაჰკრა და ანგარიში გახსნა.

გაშვებულმა გოლმა მასპინძლები გატეხა. ტაიმის ბოლომდე კიდევ კარგად იზრუნეს არგაშვებისთვის, გასახდელიდან დაბრუნებულებმაც მოიწადინეს, მაგრამ დამხვდურთა გარჯა მარსელებმა მალევე წყალს მისცეს. საგოლე პასი ახლა უკვე ფერნანდომ იკისრა, რომელმაც ლამინ საკო კარის წინ ბურთიანად დატოვა და მასაც გატანა არ გასჭირვებია. დარჩენილ დროში „სენტ ეტიენი" ამაოდ ეცადა მატჩის ბედის სათავისოდ შემობრუნებას, მაგრამ მხოლოდ ის შეძლო, რომ 0:2-ს დასჯერდა.

**გაგა ხუციშვილი**



მასპინძლები ლამინ საკომ (ბურთით) გატეხა წელში

### ინგლისი

**I დივიზიონი. XXXV ტური**

**ბრედფორდი 0:0 ლესტერი**

**ჯილინგემი 1:4 ნოტინგემი**

0:1, 0:2 ჰაკერბი (7, 17), 0:3 ჰერვუდი (46), 0:4 ტომპსონი (55), 1:4 უოლესი (79)

**გიმსბი 1:4 შეფილდ იუნ.**

0:1 უინდასი (12), 0:2 კაბა (25), 0:3 კოზლუკი (32), 1:3 კემპბელი (34), 1:4 ბრაუნი (86)

**მილუოლი 1:1 ბარნლი**

0:1 მური (18), 1:1 სადლიერი (84)

**როტერჰემი 0:0 უოლსოლი**

**უოტფორდი 0:1 პრესტონი**

0:1 ალექსანდერი (193)

**უიმბლდონი 2:1 პორტსმუთი**

0:1 მერსონი (26), 1:1 ეგიმენგი (66), 2:1 ეინსვორთი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 35 | 21 | 10 | 4 | 73:34 | 73 |
| ლესტერი | 35 | 20 | 10 | 5 | 57:31 | 70 |
| ნოტინგემი | 34 | 16 | 10 | 8 | 60:34 | 58 |
| შეფილდი | 33 | 17 | 7 | 9 | 51:36 | 58 |
| რედინგი | 34 | 18 | 4 | 12 | 44:33 | 58 |
| ვულვზი | 34 | 15 | 10 | 9 | 60:36 | 55 |
| ნორვიჩი | 33 | 13 | 10 | 10 | 44:33 | 49 |
| იფსვიჩი | 33 | 13 | 9 | 11 | 53:44 | 48 |
| როტერჰემი | 35 | 13 | 9 | 13 | 52:48 | 48 |
| ჯილინგემი | 34 | 13 | 9 | 12 | 45:46 | 48 |
| ბარნლი | 33 | 13 | 9 | 11 | 48:56 | 48 |
| უოტფორდი | 35 | 13 | 8 | 14 | 38:51 | 47 |
| ქოვენთრი | 34 | 12 | 10 | 12 | 38:37 | 46 |
| უიმბლდონი | 33 | 12 | 9 | 12 | 54:55 | 45 |
| პრესტონი | 34 | 11 | 11 | 12 | 49:52 | 44 |
| მილუოლი | 35 | 12 | 8 | 15 | 40:54 | 44 |
| კრ. პალასი | 32 | 10 | 13 | 9 | 43:37 | 43 |
| დერბი | 34 | 12 | 7 | 15 | 43:50 | 43 |
| უოლსოლი | 35 | 11 | 7 | 17 | 46:52 | 40 |
| ბრედფორდი | 34 | 10 | 9 | 15 | 40:54 | 39 |
| ბრაიტონი | 34 | 7 | 8 | 19 | 34:54 | 29 |
| გრიმსბი | 35 | 7 | 8 | 20 | 39:70 | 29 |
| სტოკი | 34 | 6 | 10 | 18 | 35:63 | 28 |
| უენსდი | 34 | 5 | 11 | 18 | 31:57 | 26 |

### ჰოლანდია

**თასის 1/4 ფინალი**

**ექსელსიორი 1:3 უტრეხტი**

0:1 იოკემსენი (5), 0:2 დ. ვან დენ ბერგი (33), 1:2 ბისი (53), 1:3 შუტი (56)

### პორტუგალია

**I ლიგა. XXIV ტური**

**ბენფიკა 0:1 პორტუ**

0:1 დეკო სოუზა (36)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 24 | 20 | 3 | 1 | 52:19 | 63 |
| ბენფიკა | 24 | 15 | 5 | 4 | 49:18 | 50 |
| სპორტინგი | 24 | 15 | 3 | 6 | 39:25 | 48 |
| გიმარაეში | 24 | 11 | 5 | 8 | 39:32 | 38 |
| ლეირია | 24 | 10 | 6 | 8 | 36:34 | 36 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 11 | 2 | 11 | 35:37 | 35 |
| ბელენენსეში | 24 | 8 | 7 | 9 | 31:33 | 31 |
| ბოავიშტა | 24 | 7 | 9 | 8 | 23:22 | 30 |
| ფერეირა | 24 | 8 | 6 | 10 | 26:33 | 30 |
| ვარზიმი | 24 | 8 | 5 | 11 | 29:32 | 29 |
| ნასიონალი | 24 | 7 | 8 | 9 | 26:30 | 29 |
| ბრაგა | 24 | 7 | 8 | 9 | 22:34 | 29 |
| მარიტიმუ | 24 | 8 | 3 | 13 | 27:40 | 27 |
| აკადემიკა | 24 | 6 | 7 | 11 | 26:35 | 25 |
| მორეირენსე | 24 | 5 | 9 | 10 | 27:33 | 24 |
| სანტა კლარა | 24 | 5 | 9 | 10 | 28:37 | 24 |
| სეტუბალი | 24 | 4 | 10 | 10 | 26:33 | 22 |
| ბეირა მარი | 24 | 5 | 7 | 12 | 26:40 | 22 |

### ბელგია

**თასის 1/2 ფინალი. 1 მატჩი**

**ლოკერენი 3:2 ლუვიე**

1:0 ნიგაარდი (40), 2:0 ბროკენი (56), 2:1 კენმონე (59), 3:1 ბროკენი (77), 3:2 კორემანი (90)



# ევროპა ძვირია, შოტლანდია იაფი

## სელტიკს უეფას თასი 200 ათას გირვანქად შეუფასეს



გლაზგოს „სელტიკს“ სევილიის გზაზე „ლივერპული“ გადაუდგა

თუ გაინტერესებთ, რომელი ჯილდოს მოგება სურთ წლეულს ყველაზე მეტად გლაზგოს „სელტიკში“, კლუბის საფინანსო დავთარში ჩაიხედეთ და გაიგებთ. ცხადია, ვილაც ჯორჯიელს იქ არავინ ჩააჭყიტებს, მაგრამ ბრიტანელ ჟურნალისტებს არაფერი გამოეპარებათ და ჩვენც მათი დახმარებით შევიტყობთ, რაზე ოცნებობენ „სელტიკში“.

პირველ რიგში, თურმე, ამ კლუბის მესვეურები ევროპულ წარმატებას, ანუ უეფას თასზე გამარჯვებას ანიჭებენ უპირატესობას — 1968 წლის ჩემპიონთა თასის მოგების 35-ე წლისთავის აღნიშვნა 21 მაისს, სევილიაში სჯობს და დიდძალი პრემიები ლააწესეს: თუ „სელტიკმა“ მართლაც მიაღწია სევილიურ ფინალს და იქაც იმარჯვა, თითოეული მოთამაშე 200 ათას გირვანქას მიიღებს. უნდა ითქვას, რომ მეოთხედფინალში გასასვლელად გლაზგოელებმა ინგლისური „ბლექბერნი“, ესპანური „სელტა“ და გერმანული „შტუტგარტი“ დაამარცხეს, რამაც ჯამში თითოეულს 80 ათასი გირვანქით გაუზარდა საბანკო ანგარიში. ახლა სევილიის გზაზე „სელტიკს“ მთლად „ლივერპული“ გადაეყარა. BATTLE OF BRITAIN (ბრიტანეთის ბრძოლა), როგორც ძველი ომების ამბავში უწოდებენ ამ წყვილის ორთაბრძოლას, ისედაც სიკვდილ-სიცოცხლის ორი თამაში იქნება, მაგრამ სულიერ მოტივაციას „სელტიკის“ ბოსებმა მატერიალურიც წაუმატეს — „ლივერპულის“ გამძევებისთვის თითო ფეხბურთელი დამატებით 40 ათასით გამდიდრდება.

და სქოთური პრემიერლიგა, რომელსაც კელტთა მთავარი მტერი, თანაქალაქელი „რეინჯერსი“ ლიდერობს? „სელტიკის“ მთავრობაში თვლიან, რომ ამ დაპირისპირებას ვერაფრითღა გაამწვავებ — ბავშვმაც კი იცის, რას ნიშნავს ამ ორი გუნდის თუნდაც უცხოელი წევრებისთვის „ოლდ ფირმი“. აგერ, ამ შაბათს, მორიგი დერბია „სელტიკ პარკზე“ და თუ მასპინძლები მოიგებენ, ლიდერს პოტენციურად ეწევიან (მარტინ ონილის გუნდს 6 ქულით და 1 მატჩით ნაკლები აქვს). მერე, 16 მარტს კათოლიკეები და პროტესტანტები ლიგის თასისთვის შეასკდებიან ერთმანეთს „ჰემპდენზე“. მოკლედ, აქ სისხლი ისედაც საკმაოზე მეტად ღუღს და პრემიები ოდენ სიმბოლურია (მაგათთვის, ცხადია): ჩემპიონატის მოგებისთვის 19 ათასი თითოეულს, ქვეყნის თასის აღებისთვის 15 ათასი, ლიგის თასის მოპოვებისთვის კი — 11250 გირვანქა.

დაინტერესებულთ შეუძლიათ იოლად გამოითვალონ „სელტიკის“ მეპატრონეთა ხარჯი ყველა ამ შეჯიბრის მოგების შემთხვევაში.

**გიგა ძოგახიძე**





ამ თავურს დიონ დაბლინი ახლა კი ნანობს

# ყველაზე ცუდი თავური

## დაბლინის საქმეს პოლიციაც გაარჩევს

ორშაბათს, ბირმინგემულ დერბიში რომ ჩხუბები ატყდა და ვილელმა დიონ დაბლინმა სიტიელ რობი სევიჯს თავი ჰკრა სახეში, ახლა ბოდიშს იხდის.

თუმცა, ამბობენ, რომ საქმეში პოლიცია ჩაერევა, რადგან ეს ამბავი საზოგადო ხულიგნობააო.

ფეხბურთის ასოციაციამ უკვე უწოდა დაბლინის ნაჩხუბარს „პრემიერლიგის ყველაზე უარესი თავური“.

„ასტონ ვილამ“ ორი კვირის ხელფასი ჩამოაჭრა დაბლინს, თავად ფეხბურთელმა კი გაგრილებულ გულზე თქვა: „ბოდიშს ვიხდი. ბიჭები დავაღალატე. გუნდის კრებაზე წამოვდექი და ყველას თვალებში ჩავხედე დანაშაულის გრძნობით“.

დაბლინმა რობი სევიჯსაც მოუბოდიშა, თუმც იქვე თქვა, რასისტული რამეები წამოცდა და ხურდად ამიტომ დააყარეს ტრიბუნებიდან ხურდა ფულიო.

დაბლინს ავტომატური სამმატჩა დისკვალიფიკაცია ემუქრება, თუმც, პოლიციამ მაინც უნდა განიხილოს ეს ინციდენტი, იმ მოვლენებთან ერთად, „ვილა პარკზე“ რომ დატრიალდა იმ საღამოს.

„ასეთ რამეებში შემჩნეული არ ვარ — თქვა დაბლინმა — ფეხებში ვარდნა დავაგვიანე, რისთვისაც ყვითელი მერგებოდა, სევიჯი კი გაღაირია. ჩხუბში რა არ მოხდება? პოლიციას მეტს ვერაფერს ვეტყვი“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# გულისტკივილი გულის ტკივილის გამო

ბოლტონის „რიბოკზე“ აფრიკის ნაკრებმა 7:4 მოუგო მსოფლიოს ნაკრებს, ნვანკვო კანუმ კი ორი გოლი გაიტანა თავისსავე მოწყობილ თამაშში.

შეხვედრა საქველმოქმედო გახლდათ და კანუს მიერ დაარსებული ფონდისთვის ფულის მოძიებას ისახავდა მიზნად. მატჩს 15 ათასი მაყურებელი დაესწრო და მათი ბილეთებში გადახდილი ფული ავადმყოფი ბავშვებისთვის გულის ოპერაციების გაკეთებას მოხმარდება.



REUTERS

თავისსავე მოწყობილ საქველმოქმედო მატჩში ნვანკო კანუმ თავი დუბლით გამოიჩინა

კანუს აფრიკის ნაკრებში ითამაშეს ნიგერიელმა ჯეი ჯეი ოკოჩამ, კამერუნელმა მარკ ვივიენ ფოემ, ალჟირელმა ალი ბერნაბიამ, სამხრეთაფრიკელმა მარკ ფიშმა, მსოფლიოს ნაკრებს კი ჰყავდა იური ჯორკაეფი, ნიკოლა ანელკა, ჰაქან შუქური, თუგაი, უინსტონ ბოგარდი და სხვა ნაკლებსახელიანი ფეხბურთელები. ბოლტონში ჩაბრძანდა არსენ ვენგერი, ვინაც დიდად შეაქო კანუ ამ კარგი საქმის თაოსნობისთვის.

მოგეხსენებათ, რომ გულის ოპერაცია თავად კანუსაც გაკეთებული აქვს და ამად შესტკივა გული ავადმყოფ ბავშვებზე. კანუმ ოპერაცია 1996 წელს გადაიტანა, როცა ამსტერდამის „აიაქსიდან“ მილანის „ინტერში“ გადასვლისას სამედიცინო შემოწმებამ მას აორტის თანდაყოლილი დეფექტი აღმოუჩინა.

ჩემზე უკეთ ვინ იცის გულის ტკივილის ამბავი — თქვა კანუმ — თან მე დიდი ვიყავი, ოპერაცია რომ გავიკეთე და წარმომიდგენია, ბავშვები რას განიცდიანო.

კანუს ფონდი უკვე დაეხმარა 40 ბავშვს ინგლისისა და ისრაელის კლინიკებში ოპერაციის გაკეთებაში. 2200 ბავშვი კი რიგში დგას და თავის ჯერს, ანუ ფულს ელის. ბოლტონური მატჩის შემოსავალი რამდენიმე ოპერაციას გასწვდება.

და საქართველოში რამდენი კაცი ფიქრობს ქველმოქმედებაზე?

**ირაკლი ნინიძე**

# მარად ულიე

**ლიგის თასის** მოგებამ ლივერპულელები ისე აღაფრთოვანა, ჟერარ ულიეს დაუყოვნებლივ კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ლივერპულს“ პრემიერლიგაში აშკარა ჩავარდნა აქვს. ისე კლუბი აშკარად ჩქარობს, ულიეს მიმდინარე კონტრაქტი 2005 წელს უმთავრდება.

კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ ჰარიმ ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „იმედი მაქვს, ჟერარი ჩვენთან იმდენ ხანს დარჩება, რამდენსაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ ალექს ფერგიუსონი მუშაობს“.

სერ ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერში“ 1986 წლიდანაა.

ჰარიმ განაგრძო: „ულიეს მუშაობით კმაყოფილები ვართ, მას შეცდომები, ფაქტობრივად, არასდროს დაუშვია, ტიტულები კი ბლომად მოიგო“.

ჟერარ ულიე „ლივერპულის“ მენეჯერი 1998 წელს გახდა. უფრო სწორად, იქამდეც მენეჯერი იყო, ოღონდ როი ევანსთან ერთად.

„ლივერპულზე“ ლაპარაკი იქაური ფეხბურთელებით გავაგრძელოთ. ცუდი ამბებია: სტეფან ანშო და ემილ ჰესკი დაიმტვრნენ და კარგა ხანს ვერ ითამაშებენ.

ანშოს კუნთზე მცირე ოპერაცია სჭირდება და ოთხიდან ექვს კვირამდე გაუცდება. ემილ ჰესკი კი ლიგის თასის ფინალში დაშავდა და ორი კვირა ვერ ითამაშებს.

ეს ნიშნავს, რომ ჰესკი უეფას თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩს გამოტოვებს, შვეიცარიელი მცველი კი „სელტიკს“ ვერც საპასუხო შეხვედრაში გაეჯიბრება.



ულიე ანშოს შეცვლას ფრანგი ტრაორეთი აპირებს, ჰესკის კი ჩეხი მილან ბაროში შეცვლის.

**კოტე კეკელია**

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## პაოლო როსი

# სახელგატეხილი ფეხბურთის ჯოკონდა

# როსიმ ბედთან თამაში მოიგო



*ფლორენციიდან ათ კილომეტრში არის პატარა ქალაქი პრატო, სადაც 1956 წლის 23 სექტემბერს დაიბადა პაოლო როსი, დიდებული და უცნაური ბედის კაცი, რომელიც წლების განმავლობაში „ბებერი ქალბატონის" თეთრი, შავზოლიანი კვართით მოსილი დაჰქროდა სამშობლოსა და უცხოეთის დიდ თუ პატარა სტადიონზე*

ბედმა ფეხბურთზე შეშლილი ვიტორიო როსის ვაჟს ბავშვობიდანვე ოინები მოუწყო. თავად განსაჯეთ, ფლორენციასთან ყურის ძირში მცხოვრებ და იქაური „ფიორენტინას" თავგადაკლულ ქომაგ მამას, ცხადია, შვილის საყვარელი გუნდის მოთამაშედ ხილვა უნდოდა, მაგრამ 15 წლის პაოლომ ფლორენციელ ტიფოზთათვის საძულველი „იუვენტუსის" მოზარდთა სექციაში ამოჰყო თავი.

ბუნებრივია, ყმაწვილკაცი, რომელსაც „ბებერმა ქალბატონმა" თვალი დაადგა, ნიჭიერი და გამორჩეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბედი არ გინდა? მოუსვენარმა ბედმა „იუვეს" მოზარდთა სექციაში გატარებული სამი წლის შემდეგ პაოლო როსის ორივე მუხლი აატკივა. სამი ოპერაცია დასჭირდა ახალგაზრდა ფეხბურთელს. სამი ოპერაციის ხსენება ადვილია, როცა საუბარი სხვას ეხება, მაგრამ 18 წლის ჭაბუკისთვის მათი გადატანა და მაინც არჩეულ გზაზე შეჩერება, წარმოუდგენლად ძნელი, მეტიც, საგმირო საქმე გახლავთ.

„იუვენტუსშიც" აღარ ჰქონდათ ქირურგიულ მაგიდაზე სამჯერ ნამყოფი ყმაწვილის იმედი და 1975-76 წლებში იგი „კომოს" ათხოვეს. „კომოში" როსიმ ვერ ითამაშა. უპირატესად სათადარიგოთა სკამზე გაატარა დრო და შედეგიც ლოგიკური გამოდგა: ახალმა კლუბმა იგი ძველს დაუბრუნა.

„იმხანად მხოლოდ მამაჩემს სჯეროდა ჩემი და სწორედ ამ რწმენამ გადამაწყვეტინა თამაშის გაგრძელება" — იგონებდა როსი წლების შემდეგ.

და ბედმა თავდამსხმელი სერია B-ს გუნდში, „ლანეროსიში" გადააგდო.

„ლანეროსიში" გადასვლა მეტისმეტად სასარგებლო გამოდგა როსისთვის. მან ახალი მწვრთნელი, ბატისტა ფაბრი გაიცნო. ფაბრი ის ადამიანი გამოდგა, ვინც სასოწარკვეთილს რწმენა დაუბრუნა, მოედანზე კი ფუნქცია შეუცვალა — მარჯვენა გარემარბი ცენტრალურ თავდამსხმელად აქცია.

იმ სეზონში „ლანეროსიმ" სერია A-ს საგზური მოიპოვა, პაოლო როსი კი 21 გოლით სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

დაიწყო ახალი სეზონი და მთელმა იტალიამ იხილა უმაღლეს ლიგაში ახალაღზევებული ვიჩენცის გუნდის ფორვარდი, მისი ნიჭი და ძლიერება. „სკუადრა აძურა" კი იმხანად არგენტინაში მსოფლიოს ჩემპიონატზე წასასვლელად ემზადებოდა...

...არგენტინიდან პაოლო როსი აღიარებულ ვარსკვლავად დაბრუნდა, რაც უმალ აისახა რიცხვებში — მისი სატრანსფერო ფასი 6 მილიონი დოლარი გახდა. დიახ, 6 მილიონი დოლარი იმხანად ვეებერთელა ფული იყო, ფეხბურთელში ამდენს არავინ იხდიდა, „პერუჯამ" კი არ დაინანა.

მაშ ასე, „ლანეროსიმ" სალარო 6 მილიონით შეივსო, „პერუჯამ" კი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი შეიძინა, ხოლო ქვეყნის ეროვნული გუნდი 1980 წლის ევროპის ჩემპიონატზე ფიქრს შეუდგა. „სკუადრა აძურას" მაშინდელ მწვრთნელს, ენცო ბეარზოტის როსისთვის საგანგებო როლი ჰქონდა შერჩეული. ის დიდი მიზნის მისაღწევად ემზადებოდა. მით უფრო, რომ პირველობას იტალია მასპინძლობდა, მაგრამ ბედმა ისევ თამაში ისურვა.

...სასამართლომ საქმის გარჩევა მესამედ გადასდო. უნდა განიხილონ 33 ფეხბურთელისა და 5 გუნდის ხელმძღვანელის მოღვაწეობა. მათ ბრალი ქრთამის აღებ-მიცემასა და იატაკქვეშა ტოტალიზატორთან კავშირში ედებათ.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას თავისი ვერდიქტი უკვე გამოტანილი აქვს და დასჯილებმა ციმციმ აახლეს კიდეც აპელაციის ფურცლები. ფედერაციამ განიხილა შეწყალების საქმე და გადაწყვიტა პაოლო როსის დისკვალიფიკაცია სამიდან ორ წლამდე შეუმციროს. ამბობენ, შუამდგომლობა ენცო ბეარზოტმა იკისრა და საფეხბურთო მოსამართლეებს სთხოვა, როსის ამბავი ისე მოაგვარეთ, მისი 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანა შევძლოო. ცხადია, არავის სჯეროდა, რომ ორწლიანი უმოქმედობის შემდეგ ფეხბურთელი არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს პირველობაზე თამაშს შეძლებდა, მაგრამ ეტყობა, ბეარზოტის ავტორიტეტმა გაჭრა.

როსის დისკვალიფიკაციის ვადა ერთი წლით შეუმცირეს, მაგრამ ყველას მიმართ ასე მოწყალენი არ ყოფილან.

იმხანად როსის შეწყალება იტალიურმა პრესამაც ითხოვა. არგუმენტი თავდამსხმელის ასაკი და პერსპექტივა გახლდათ.

საგულისხმოა, რომ თავად ფეხბურთელმა მეტისმეტი სიმკაცრისთვის ფედერაცია საჯაროდ გააკრიტიკა, რისთვისაც რამდენიმე, დამატებითი თვეც მიიღო სასჯელად. მოკლედ, ყველაფერი დაჯამდა, შესაკრები შეკრიბეს, გამოსაკლები გამოაკლეს და მიიღეს, რომ პაოლო როსი ფეხბურთს 1982 წლის 30 აპრილამდე უნდა ჩამოსცილდეს.

1980-1982 წლები როსისთვის ახალი, უმძიმესი გამოცდის წლებად იქცა. მადლობა ღმერთს, ფედერაციის სასჯელი ერთადერთი აღმოჩნდა, რადგან სამოქალაქო სასამართლომ საქმეში ჩარეულ-ჩათრეული ყველა ადამიანი გაამართლა. მოტივი: კოდექსში შესაბამისი მუხლი არ არსებობდა.

ამრიგად, დადგა უმოქმედობის ორი წელიწადი. იტალიური ფეხბურთი პაოლო როსის გარეშე ცხოვრობდა, ის კი თავისთვის აგორებდა ბურთს. მას აღარავის ნახვა სურდა, მშობლებთანაც იშვიათად ჩადიოდა. ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ საშინელ დროებას პაოლოსთან ერთად გაუძლო, მეუღლე სიმონეტა რიძატი გახლდათ.

მაგრამ „ბებერი ქალბატონი" თავის რაინდებს არ სწირავს, მით უფრო, რომ მან ერთხელ უკვე გაიმეტა ფეხმტკივანი როსი ბედის საძიებლად. 1981 წელს, ერთი შეხედვით ფრიად უცნაური რამ მოხდა: „იუვენტუსის" მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ დისკვალიფიკაციის გასვლამდე მთელი წლით ადრე „პერუჯას", სადაც ოფიციალურად ირიცხებოდა დისკვალიფიცირებული როსი, გვარიანი თანხა გადაუხადა და პაოლო თავისთან ჩარიცხა.

„შეუძლებელია ასეთმა ფეხბურთელმა ორ წელიწადში ყველა თვისება დაკარგოს. მალე ფეხბურთს ძველი, ან კიდევ უფრო ძლიერი როსი დაუბრუნდება" — განაცხადა მაშინ ტრაპატონიმ.

„როსის ფეხბურთის მოედანზე ფასი არ აქვს, ისევე როგორც ჯოკონდას, რომელსაც, როსისა არ იყოს, რამდენადმე შელახული რეპუტაცია ჰქონდა" — იხუმრა „ბებერი ქალბატონის" პრეზიდენტმა ჯამპიერო ბონიპერტიმ, როდესაც როსის ყიდვასთან დაკავშირებით ჰკითხეს, მასში გადახდილი თანხა ხომ არ გებევრათო.

1982 წლის 30 აპრილს პაოლო როსის დისკვალიფიკაციის ორი წელიწადი გაელია.

1982 წლის 13 ივნისს ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და მასში მონაწილე იტალიის ნაკრების 22 ფეხბურთელს შორის პაოლო როსიც გახლდათ.

1982 წლის 11 ივლისს მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე" „სკუადრა აძურამ" მსოფლიოს თასი აღმართა. ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელისა და ბომბარდირის ტიტული (6 გოლი) პაოლო როსიმ მოიპოვა.

„როსი იტალიას სჭირდება" — ჯიუტად იმეორებდა ენცო ბეარზოტი, როდესაც აქეთ-იქიდან უკიჟინებდნენ, ორი წლის უთამაშებელ კაცს ნაკრებში რატომ იწვევო.

ორწლიანი უმოქმედობის შემდეგ, 30 აპრილიდან მსოფლიოს პირველობამდე როსიმ სულ ხუთი შეხვედრის ჩატარება მოასწრო, სამი „იუვენტუსის", ორი კი „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში და ასეთი მარაგით მივიდა, ნახა, გაიმარჯვა.

გაიმარჯვა იმიტომ, რომ ის მოაზროვნე ფეხბურთელი გახლდათ. მოედანზე სულ მოძრაობდა და პასის მიღება-გადაწოდება არ ეშლებოდა. მას საგანგებო ალღო მაშინ მიიყვანდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, როდესაც ერთ წამში საგოლე მომენტი უნდა შექმნილიყო. გადაწყვეტილების მისაღებად დიდი დრო არ სჭირდებოდა, გამხდარ სხეულს ქარივით დააქროლებდა და როდესაც ბურთს ფლობდა, თავი არ ჰქონდა დახრილი.

მცველთათვის როსი ძალიან უხერხული მოწინააღმდეგე გახლდათ, რადგან ის მუდმივად ეძებდა მათ შორის შექმნილ ნაპრალს, თუნდაც პატარა სივრცეს, რომელსაც იპოვნიდა თუ არა, მყისვე მოქმედებაზე გადადიოდა. ილეთების მისეულ მარაგში ღონიერი გარღვევები და ყუმბარისებური დარტყმები არ ყოფილა. იგი მოხდენილად მობრუნდებოდა და მეტოქის კარს ზუსტად იქ უჩხვლეტდა, სადაც ყველაზე „მტკივნეული" იყო.

პაოლო როსის თამაშის ყაიდა არავისას ჰგავდა და ამიტომაც იგი არასდროს შეუდარებიათ თავისი თუ წარსული ეპოქის რომელიმე სხვა თავდამსხმელისთვის.

1982 წლის 11 ივლისს, „სკუადრა აძურას" უდიდესი ტრიუმფის დღეს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, გვირგვინოსანი გუნდის მწვრთნელმა ენცო ბეარზოტმა ჟურნალისტებს ასე განუცხადა.

„დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ პაოლო როსიზე, როგორც ფეხბურთელზე, მე კი მსურს ორიოდ სიტყვა მასზე, როგორც ადამიანზე ვთქვა. გეხსომებათ, იგი „პერუჯაში" თამაშობდა და მართალი რომ გითხრათ თავიდან მაინცდამაინც არ ბრწყინავდა. მართალია, ტექნიკა და მოწინააღმდეგის კარისკენ სწრაფვა არ აკლდა, მაგრამ სხვა თავდამსხმელებს დიდად მაინც არ სჯობდა. მაშინ გადავწყვიტე მისი ვარჯიშისთვის შემევლო თვალი და გავოცდი. ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ იგი ამდენს მუშაობდა. ის ფეხბურთის სიბრძნეთა წვრილმანების ამოცნობასაც ცდილობდა. შემდეგ ოჯახში ვეწვიე, ვესაუბრე „პერუჯას" მწვრთნელებს, თანაგუნდელებს და პაოლო არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე წავიყვანე, სადაც მან თავისი სიტყვა თქვა. როსი ნამდვილი კაცია, ის თამაშის დროს არასდროს გახლავთ გულგრილი".

ფეხბურთი რომ არ გეთამაშათ, რომელ სახეობას მოჰკიდებდით ხელს? — ჰკითხეს ერთხელ პაოლო როსის.

„მთელი იტალია ფეხბურთს თამაშობს და არც მე ვიქნებოდი გამონაკლისი. ვითამაშებდი ისევ ფეხბურთს" — უპასუხა როსიმ.

იგი თხემით ტერფამდე ფეხბურთელი გახლდათ და ეს რომ მართლა ასე იყო, იქიდანაც ჩანს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ტრიბუნებისადმი:

„თამაშის დროს ტრიბუნისკენ არც ვიხედები, მთელი ყურადღება მინდვრისკენ მაქვს მიმართული და არავითარი გარეშე გამღიზიანებელი არ მჭირდება".

რა არის ეს, მაყურებლისადმი უპატივცემულობა? არა, ეს საქმისადმი დამოკიდებულებაა, იმ კაცის ცხოვრების ფილოსოფია, რომელსაც საკუთარი აზრის ალალად თქმისა არ ეშინოდა, რადგან ძალიან ძლიერი იყო. მხოლოდ ძლიერებს შეუძლიათ ფენიქსივით დაიწვან და ფერფლიდან აღსდგნენ.

**ბაჩუნა ძიძია**



1982 წლის ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე პაოლო როსი (№20) 6 გოლით საუკეთესო ბომბარდირი შეიქნა

# მილიონი ბოსმანი?!

## გინდა ახალი? გაუშვი ძველი!

**იტალიური** ფეხბურთი აშკარად რესტრუქტურიზაციის ზღვარზეა. სამშაბათს, ფეხბურთის ფედერაციისა და საფეხბურთო ლიგის წარმომადგენლებმა ხუთსაათიანი თათბირი მოაწყეს და, როგორც ჩანს, არცთუ უშედეგოდ. მთელი დავიდარაბის მიზეზად კი, ერთი მხრივ, ქვეყნის ფეხბურთში შექმნილ ფინანსურ კრიზისს, ხოლო მეორე მხრივ, ევრო 2012-ის მასპინძლობის სურვილს ასახელებენ. ეს მასპინძლობის სურვილი რაღა შუაშიაო, იკითხავთ თქვენ. უპირველესად იმ შუაშია, რომ ქვეყანა, რომელიც დიდი შეჯიბრების მასპინძლობას ბედავს, უფულო არ უნდა იყოს (ეს ისევ ფინანსებთან გახლავთ კავშირში), მაგრამ გარდა ამისა, იტალიელები თავიანთ ფეხბურთზე ზრუნავენ. კერძოდ, მათ არ ეპიტნავებათ, რომ იტალიური კლუბების ოსტატობასა და დონეს მნიშვნელოვანწილად უცხოელი მოთამაშეები განაპირობებენ. გარდა ამისა, არ მოსწონთ, რომ რომის ქვემოთ ანუ სამხრეთს, ერთი ძლიერი გუნდი არ შემორჩა, არ მოსწონთ შედეგები საერთაშორისო სარბიელზე და ასე შემდეგ.

თუმცა, სიტყვა გაგვექცა და შესავალი მეტისმეტად დიდი გამოგვივიდა. არადა, მოთათბირეთა კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე გვინდოდა გვეთქვა. პირველი თვალშისაცემი გადაწყვეტილება ასეთია: ამიერიდან, იტალიურ ლიგებში უცხოელი, უფრო ზუსტად კი არაევროკავშირელი ფეხბურთელების რაოდენობა გაყინულია. სერია B-ს და სერია C-ს გუნდები ახალ არაევროკავშირელს საერთოდ ველარ იყიდიან, სერია A-ს გუნდები კი თუ ვინმეს მიიწვევენ, ვინმეს გაშვებაც მოუწევთ. გამონაკლისი დაშვებულია იმ ოთხი კლუბისთვის, რომლებიც სერია B-დან სერია A-ში ავლენ. მათ სამ-სამი არაევროკავშირელის წარდგენა შეეძლებათ.

ამ გადაწყვეტილებამ ერთგვარი ევროხმაურიც შეიძლება გამოიწვიოს. მიზეზი: საფრანგეთი სრულიად საპირისპირო გზას ადგას. მან უნდა მიიღოს კანონი, რომელშიც ჩამოთვალა 24 ქვეყანა (ევროკავშირს გარეთ), რომელთა ფეხბურთელებს უპრობლემოდ შეუძლიათ ფრანგულ ლიგაში თამაში. ესენია აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, თურქეთი, ალჟირი, მაროკო და ტუნისი.

საფრანგეთის პროექტს უეფას შეშინებულმა პრეზიდენტმა ლენარტ იუჰასონმა „ბოსმანი გამრავლებული მილიონზე" უწოდა.

ჩვენ კი დავუბრუნდეთ იტალიას, სადაც შემდეგი თათბირი 2 აპრილს არის დანიშნული, ხოლო თემა, ლიგების გაერთიანებაა. კერძოდ, იტალიელები სერია B-ს ორ ჯგუფად დაყოფას, მათთვის სერია C1-ის შეერთებას და ამით გუნდების წახალისებას ფიქრობენ. ამ იდეას სერია A-ს და სერია B-ს წარმომადგენლები კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ:

„ცხადი ჯერჯერობით მხოლოდ ის არის, რომ შეჯიბრების განმავლობაში ცვლილებები არ მოხდება" — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ.

თუმცა, სერია A-დან სერია B-ში გავარდნის და პირიქით, ქვემოდან ზემოთ ამოსვლის წესი და რიგი, არ არის გამორიცხული, რომ შეიცვალოს: საუბარია მათი რაოდენობის სამამდე შემცირებაზე, გავარდნილ-აღზევებულთა პლეი ოფით გარკვევის გზით.

**ბაჩუნა ძიძია**





### ფერნანდესი ბავშვობაში ტანკისტი იყო?

# არ მეშინია!

## რონალდინიოს ტანზე ავტოგრაფები დაუტოვეს

პსჟ — „ტრუას“ მატჩის შემდეგ ფეხბურთელებმა გასახდელს მიაშურეს. შეხვედრის მსვლელობისას პარიზელები 0:2-ს კი აგებდნენ, მაგრამ გამარჯვება მაინც შეძლეს. ნანატრი მოგებით გახარებულმა მასპინძლებმა შხაპ-შხუპის მერე ავტოსადგომისკენ გასწიეს. იქ თავიანთი ავტომობილები მონახეს და წასვლას აპირებდნენ, როცა კლუბის ფანები რონალდინიოს ავტოგრაფისთვის საწერკალმებით ეწვივნენ. ბრაზილიელს უარი არ უთქვამს და ქომაგებიც კმაყოფილნი გაისტუმრა.

მერე სხვებიც გამოჩნდნენ. ფეხბურთელს ისინიც ავტოგრაფის მოსურნენი ეგონა და დაელოდა. რონალდინიოს ოთხნი მიუახლოვდნენ. ბრაზილიელი კარგი თამაშისთვის მადლობის მოლოდინში ოთხეულს მიაჩერდა, მაგრამ მათგან ლანძღვა-გინება მოისმინა. პსჟ-ს ლეგიონერს მიახალეს ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობდნენ. გუნდი რომ შავ დღეშია, შენი უგულო გარჯის ბრალია, მოედანზე დასეირნობ, შენგან მხოლოდ ზარალიაო. ალბათ ფეხბურთელმა ხურდა არ დაამდლა ნაგიჟრებს და დაკა-დაკა ატყდა. უფრო სწორად, მიმხვდურებმა რონალდინიო გვარიანად ჟეჟეს, თან ზედ მრავალი ავტოგრაფი დაუტოვეს.

წასასვლელად გამზადებული თანაგუნდელები ხმაურზე მანქანებიდან გადმოხტნენ და შფოთიისთავები იქიდან დაიფრინეს. ბრაზილიელს თანამემამულეები, პაულო სესარი და ალოიზიო მიეშველნენ. იმ გაწევ-გამოწევაში ხელმარჯვეებმა ალოიზიოს მობილური ტელეფონი ასწაპნეს. საბოლოოდ ნაცემი მხოლოდ რონალდინიო დარჩა, მაგრამ ოთხეულმა ფეხბურთელთა მანქანებსაც ჩამოურბინა და რასაც მისწვდნა, დაჭმუჭნა.

კულულებიანი მსოფლიოს ჩემპიონის თამაშით მხოლოდ ქომაგები კი არა, ლუის ფერნანდესიც უკმაყოფილოა. ფერნანდესის თქმით, ბრაზილიელი მატჩებს ზერელედ ეკიდება და ბოლომდე არ იხარჯება. გარდა ამისა, მწვრთნელს რონალდინიოს წუწუნიც მობეზრდა, რომელიც მუდმივად ტრავმას იმიზეზებს და საკმაოდ მნიშვნელოვან შეხვედრებს აცდენს.

საშობაო არდადეგებიდან ბრაზილიელი პარიზში ერთი კვირის დაგვიანებით ჩავიდა. ფერნანდესს მოახსენა, რომ კბილის საშინელი ტკივილის გამო დაიგვიანა, მაგრამ ტყუილი მალე დაუმოკლდა. გამოქექეს და თურმე რა კბილი, პლაჟის ფეხბურთით ერთობოდა სამშობლოში.

ამჟამად პსჟ-ს თავზე შავტუხა ღრუბლებია თავმოყრილი. ბოლო რვა წლის განმავლობაში გუნდი საფრანგეთის ჩემპიონობას ვერ შესწვდა, არადა, კლუბის ბოსები ბლომად ფულს ხარჯავენ, შედეგი კი არ ჩანს. კვირას, 9 მარტს, პსჟ „მარსელს“ სტუმრობს. ამ სეზონში დედაქალაქელები ორჯერ (ჩემპიონატში და თასზე) შეხვდნენ სამხრეთელებს და ორჯერვე სძლიეს. ისედაც გაცეცხლებული ქომაგები „მარსელთან“ წაფორხილებას გუნდს არ აპატიებენ და ლუის ფერნანდესი, შესაძლოა, ვინმეს რონალდინიოსავით ეცემინოს. ფერნანდესმა იცის, რა ელის: „მარსელი? სულაც არ მეშინია. ასეთი თამაშებლი მინახავს და მითამაშია კიდეც. ისეთ ატმოსფეროში გავიზარდე, რომ შიში ჩემთვის უცხოა. „მარსელთან“ ფრე ცუდი შედეგი იქნება, მხოლოდ მოსაგებად ჩავალთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მანჩესტერი უთავოდ



დევიდ ბერნშტეინი

**„მანჩესტერ სიტის“** თავმჯდომარემ დევიდ ბერნშტეინმა კლუბის მთავარ აქციონერებს ხელი დაუქნია — თანამდებობიდან გადადგა. მისი წასვლის მიზეზი ბოლომდე გარკვეული არ არის, თუმცა შესაძლოა, რომ მას უთანხმოება მოუვიდა აქციონერებთან მის მიერ წარმოებული ფინანსური პოლიტიკის გამო.

დევიდ ბერნშტეინმა კლუბი 1998 წელს ჩაიბარა, მმართველობის ბოლო წლინახევრის განმავლობაში კი ახალი ფეხბურთელების შესაძენად მანჩესტერელებმა 74 მილიონი დახარჯეს. კევინ კიგანის თითქმის ყველა სურვილს თავმჯდომარე ისე ასრულებდა, როგორც ზღაპარში. გარდა ამისა, ბერნშტეინის ეპოქაში გუნდს ახალი ბაზა აუშენეს, რამდენიმე თვეში კი „მანჩესტერ სიტის“ ასევე ახალი, კოპწია სტადიონი ექნება. მოკლედ, ფული გაედინებოდა და ბიუჯეტში გვარიანმა გარღვევამ თავჯდომარისა და მისი პარტნიორების ურთიერთობა არია.

დევიდ ბერნშტეინი გულდამშვიდებული წავიდა: „გუნდი 1998 წელს ჩავიბარე, მაშინ, როცა მეორე დივიზიონში სულს ღაფავდა და ვალებში ჩაყლულს თავი აღარ უჩანდა. „მეინ როუდი“ ავარიული მდგომარეობაში, დანგრევის პირას იყო მისული. ახლა ნახეთ, „მანჩესტერ სიტი“ პრემიერლიგის ცხრილის შუაში გამოჭიმულა. შემადგენლობაში შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, მწვრთნელი მსოფლიო დონისა. როცა ამ პოსტზე მოვედი, ჩემებური პრინციპები — ერთობა, სტაბილურობა და პროფესიონალიზმი დავნერგე. ვცდილობდი, დასახული მიზნისთვის მიმეღწია და, მგონი, შევძელი. მივდივარ ვალმოხდილი და, ვფიქრობ, გუნდს გვარიანი ქონება დავუტოვე“.

ახალი თავმჯდომარის ვინაობა უცნობია, მანჩესტერის „ლურჯი“ ნაწილი შოკირებულია, კევინ კიგანმა კი თქვა, დევიდ ბერნშტეინის წასვლა კლუბისთვის დიდი დანაკლისი იქნებაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## Copa Toyota Libertadores '2003

**ლიბერტადორესის თასი 2003**

**III ჯგუფი. II ტური**

**ამერიკა დე კალი (კოლუმბია) 4:1 12 დე ოქტუბრე (პარაგვაი)**

1:0 ვასკესი (32), 2:0 ფაბიო მორენო (37), 3:0 ვასკესი (46), 3:1 რ. გომესი (65), 4:1 ვასკესი (74)

**IV ჯგუფი. II ტური**

**ხიმნასია (არგენტინა) 1:1 ოლიმპია (პარაგვაი)**

0:1 ლობოსი (13), 1:1 მ. კაბალიერო (89)

### ფეხბურთის რუქასთან



**იტალიური** „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი მზადაა, ურუგვაელ შემტევ ნახევარმცველ ალვარო რეკობას შეელიოს, თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“ რეკობას სანაცვლოდ, „ინტერში“ არგენტინელ ჰავბეკ ხუან სებასტიან ვერონს გაუშვებს. ორივე კლუბს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია — თუ ტრანსფერი შედგა, სავარაუდოდ „ინტერიც“ და „მანჩესტერიც“ კმაყოფილნი უნდა დარჩნენ: ვერონი „ნერო ადზურის“ შუა ხაზს გააძლიერებს, რეკობას კი თავდასხმაში რუუდ ვან ნისტელროის მეწყვილეობას უწინასწარმეტყველებენ.

**ესპანური „ოვიედო“ სეგუნდადივიზიონის ერთ-ერთი აუტსაიდერია. ჰოდა, კლუბის ხელმძღვანელობამაც გამოსავალი მოძებნა — მწვრთნელი ვისენტე გონსალესი თანამდებობიდან დაითხოვა. „ოვიედო“ წლეულს მეორედ დარჩა თავკაცის გარეშე, გონსალესამდე ერთ დროს პრიმერადივიზიონურ კლუბს მიგელ სანჩესი წვრთნიდა. „რაღაც ხდება, ძალიან ცუდი ვითარებაა შექმნილი. გულწრფელად გეტყვით, არა მგონია, „ოვიედოს“ ვისენტე გონსალესის წასვლით რამე ეშველოს“ — შეშფოთებულია გუნდის კაპიტანი ოლი, რომელიც „ოვიედომდე“ სევილიური „ბეტისის“ ღირსებას იცავდა.**

**ჰოლანდიელი** ფორვარდი დირკ კუიტი ახალი სეზონიდან, სავარაუდოდ, „ფეიენოორდის“ ღირსებას დაიცავს. როტერდამელები თავდამსხმელის გადაბირებით ძალიან ყოფილან მოწადინებულნი და ახლავე მზად არიან, 22 წლის კუიტის ახლანდელ კლუბ „უტრეხტს“ მილიონი ევრო გადაუხადონ. „მიხარია, ჩემი ოცნების გუნდში თამაშის საშუალება რომ მეძლევა. „ფეიენოორდს“ სურდა, იანვარშივე გადავეყვანე, მაგრამ მოცდა ვარჩიე“ — აღფრთოვანებულია დირკ კუიტი. როტერდამული კლუბის პრეზიდენტი ჟორის ვან ლენ ჰერკი ფორვარდს ძალიან აქებს, მის ტრანსფერში ფული არ მენანება და იმედი მაქვს, „ფეიენოორდის“ შემტევ დუეტს სწორედ კუიტი და პიერ ვან ჰოიდონკი შექმნიანო.

**ესპანური ბილბაოს „ატლეტიკის“ მცველი ასიერ დელ ორნო ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. დელ ორნო პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „უელვასთან“ 2:3 წაგებული მატჩისას მე-80 წუთზე მეტოქე ფეხბურთელ ლორენთან უხეშობის გამო გააძევეს.**

**ინგლისური** „ფულემის“ პრეზიდენტ მოჰამედ ალ ფაიედს ციხე ემუქრება. სასამართლოში სარჩელი ფრანგული „ლიონის“ უფროსობამ შეიტანა, ორი წლის წინ ჩვენგან თავდამსხმელი სტივ მარლე რომ იყიდეთ, ტრანსფერში კუთვნილი თანხა უკლებლივ გადაგვიხადეთო. ალ ფაიედს 4 600 000 ევროს ედავებიან ლიონელები, სასამართლომაც ფრანგები გაამართლა. ცხადია, ეგვიპტელი მილიონერი საციხოდ არ გაიხდის საქმეს და თანხასაც, ალბათ, მალე გადაიხდის.

**ლიტვის ეროვნული გუნდის მწვრთნელად 51 წლის სპეციალისტი ალგიმანტას ლიუბინსკასი დაინიშნა. ლიუბინსკასმა პოსტზე ცნობილი მწვრთნელი, სსრკ-ის ჩემპიონატების დროს ვილნიუსის „ჟალგირისის“ თავკაცი ბენიამინას ზელკიავიჩიუსი შეცვალა.**

**ესპანელი** ნახევარმცველი გაისკა მენდიეტა იტალიაში რომ დაბრუნდება, ფაქტია. იგი ჯერაც რომის „ლაციოს“ საკუთრება გახლავთ. „ბარსელონას“ ახლანდელ ფეხბურთელს, გეზს რომში არა და მილანში კი უწინასწარმეტყველებენ, მენდიეტა „ინტერში“ ითამაშებსო. „ნერო ადზურის“ არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი წვრთნის, მწვრთნელიც თავის ყოფილ შეგირდს ძალიან კარგად იცნობს, კუპერ-მენდიეტას ტანდემი წლების მანძილზე ხომ „ვალენსიაში“ ბრწყინავდა. როგორც იტალიური პრესა წერს, კუპერმა „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი უკვე „შეაწუხა“, იქნებ როგორმე გაისკა მენდიეტა გადმოვიბიროთო.

**ინგლისელმა პოლიციელებმა „ასტონ ვილას“ 40 ფანი დააკავეს. მასობრივი არეულობები ქომაგებმა ამასწინანდელ „ასტონ ვილა“ — „ბირმინგემის“ დერბისას მოაწყვეს. პირობითად მასპინძლებმა, ვილელმა ფანებმა, გუნდის 0:2 მარცხი ვერ აიტანეს და ტრიბუნებზეც დაკა-დაკა ატყდა.**

**გერმანული** „ჰერტას“ უფროსობამ კლუბის ბრაზილიელი ფეხბურთელი მარსელინიო 20 ათასი ევროთი დააჯარიმა. მიზეზი კი ესაა: მარსელინიო ყოველი წაგებული მატჩის შემდეგ მიდის ღამის კლუბებში და ერთობა. „მარსელინიოს საქციელი, ცხადია, შეუმჩნეველი არ დაგვრჩენია“ — აცხადებს „ჰერტას“ კომერციული დირექტორი დიტერ ჰოინესი.

**ესპანურ „მალაგას“ ერთი თვით წამყვანი ნახევარმცველი ხერარდო გარსია გამოაკლდა. 28 წლის ფეხბურთელმა „ატლეტიკოსთან“ 1:2 წაგებულ მატჩში კოჭი დაიზიანა. ხერარდო გარსიას ამ ხნის მანძილზე ესპანეთის ჩემპიონატის სამი და უეფას თასზე „ბოავიშტასთან“ ორივე მეოთხედფინალური მატჩის გამოტოვება მოუწევს.**

**იტალიური** „მილანის“ თავდამსხმელი იონ დალ ტომასონი კარლო ანჩელოტისეულ როტაციას, ანუ შემადგენლობის ხშირ ცვლას თურმე ვერ ეგუება. ტომასონმა ერთ-ერთ დანიურ გაზეთს განუცხადა: „დღევანდელ „მილანში“ პიპო ინძაგის შემდეგ გამტანი მე ვარ. ვფიქრობ, ყურადსაღები ფაქტია. თამაში მსურს და, მგონი, ძირითადში ადგილს ვიმსახურებ კიდეც. ისიც მესმის, თავდასხმაში დიდი კონკურენციაა. „მილანს“ ხომ ჩემს გარდა კიდევ სამი უძლიერესი ფორვარდი — ინძაგი, შევჩენკო და რივალდო ჰყავს, მაგრამ...“

**ესპანური „ბარსელონას“ თავდამსხმელი დანი გარსია დაშავდა და ფეხბურთს 5-6 კვირა ვერ ითამაშებს. გუშინ დანის საავადმყოფოში გამოკვლევა ჩაუტარეს და დასტაქრებმაც „ბარსას“ ექიმის რიჩარდ პრუნიას დიაგნოზი გაამართლეს — მუხლის მყესები აქვს გაწყვეტილი. „დავითარსე, ძალიან ხშირად ვშავდები“ — დანი გაბრაზებულია, თუმც ექიმებმა დაამშვიდეს, საოპერაციო არაფერი გჭირსო.**

**გერმანული** „ბაიერნის“ ფრანგმა მარცხენა მცველმა ბიქსენტ ლიზარაზუმ მედია გააოცა. მან 6-წლიანი გერმანული კარიერის მანძილზე ჟურნალისტებთან პირველად ილაპარაკა გერმანულად. „ბაიერნის“ საწვრთნელ ბაზაზე მისული მედიელები ლიზარაზუს კითხვებს ფრანგულად უსვამდნენ, მან კი რატომღაც პასუხები გერმანულად არჩია. „არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე. ბოლოს და ბოლოს 6 წელია რაც აქ ვარ და ენაც ხომ უნდა მესწავლა“ — ამბობს ლიზარაზუ, თუმც მეორე დღეს, კვლავაც ინგლისურად გასცა პასუხები. რატომ ალაპარაკდა ლიზარაზუ გერმანულად? ჟურნალისტებმა თურმე ესეც გამოჩხრიკეს, მაინტერესებდა, ჩემს პასუხებს როგორ ინტერპრეტაციას მისცემდნენო.

**ჰოლანდიური „აიაქსის“ ეგვიპტელი თავდამსხმელი აჰმედ ჰოსამი, იგივე მიდო, შესაძლოა ზაფხულიდან ესპანურ „ბარსელონაში“ აღმოჩნდეს. მიდოს ახლახან „აიაქსის“ მწვრთნელ რონალდ კუმანთან კონფლიქტი მოუვიდა, კუმანმაც ფეხბურთელი სარეზერვო გუნდში გაისტუმრა. მიდოს ამსტერდამული კლუბის დატოვებაც ამად სურს, მით უფრო, ეგვიპტელს „ბარსელონას“ გარდა, სხვა გრანდებიც ეპატიჟებიან.**

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-კოტბუსი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 002 | ჰერტა-მიუნხენი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.30 | 003 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 004 | შალკე-არმინია | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.30 | 005 | ვერდერი-ბოხუმი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.30 | 006 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 007 | ბაიერნი-ლევერკუზენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 18.30 | 008 | გალდბახი-დორტმუნდი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.30 | 010 | ჰანოვერი-ჰანზა | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი)** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 23.15 | 036 | დარმშტადი-ოფენბახი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 051 | ლივერპული-ბოლტონი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 052 | ლივერპული-ბოსტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **იტალია. სერია "A". XXIV ტური** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 128 | ბოლონია-ინტერი | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| 23.30 | 129 | რომა-ლაციო | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 130 | ატალანტა-პარმა | 2,35 | 2,9 | 3,1 | 1,29 | 1,33 | 1,49 |
| 18.00 | 131 | კომო-ბრეშა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 18.00 | 132 | ემპოლი-პიაჩენცა | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 18.00 | 133 | მოდენა-პერუჯა | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 18.00 | 134 | ტორინო-რეჯინა | 3,2 | 3,3 | 2,05 | 1,62 | 1,24 | 1,26 |
| 18.00 | 135 | უდინეზე-იუვენტუსი | 3,5 | 3,0 | 2,1 | 1,61 | 1,31 | 1,23 |
| 23.30 | 136 | მილანი-კიევო | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 137 | მილანი-კიევო 0:1 | 2,15 | 3,0 | 2,45 | | | |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 174 | რეალი-რასინგი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 175 | რეალი-რასინგი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.45 | 176 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 177 | დეპორტივო-ვილიარეალი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 24.00 | 178 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 179 | ბარსელონა-ვალიადოლიდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 00.30 | 180 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 181 | რაიო-სელტა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 20.00 | 182 | სევილია-ოსასუნა | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| 20.00 | 183 | მალაგა-ბილბაო | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 20.00 | 184 | უელვა-ესპანიოლი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 185 | მალიორკა-ბეტისი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.30 | 186 | სოსიედადი-ალავესი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **საფრანგეთი.** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი. XXX ტური** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 20.15 | 200 | რენი-ოსერი | 2,6 | 2,9 | 2,7 | 1,37 | 1,32 | 1,39 |
| 23.00 | 201 | ლიონი-აიაჩო | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 202 | ლიონი-აიაჩო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 23.00 | 203 | მონაკო-ბორდო | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 204 | სედანი-გენგამი | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 23.00 | 205 | ნანტი-ლე ავრი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 23.00 | 206 | სოშო-ლილი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 207 | ტრუა-მონპელიე | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 23.00 | 208 | ლანსი-ნიცა | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 209 | ბასტია-სტრასბური | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 210 | მარსელი-პსჟ | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **7 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 225 | ალკმაარი-როდა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 226 | ექსელსიორი-ფეიენოორდი | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| 22.30 | 227 | ტილბურგი-ტვენტე | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 22.30 | 228 | ბრედა-გრააფსხაპი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 229 | ბრედა-გრააფსხაპი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.30 | 230 | პსვ-ნაიმეგენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 231 | პსვ-ნაიმეგენი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.30 | 232 | ზვოლე-აიაქსი | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 233 | ვიტესი-უტრეხტი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 17.30 | 234 | გრონინგენი-როზენდალი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 17.30 | 235 | ვალვაიკი-ჰერენვენი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **7 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 252 | სტანდარდი-ლოკერენი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 253 | მეხელენი-ბეერსხოტი | 3,6 | 3,6 | 1,5 | 1,8 | 1,05 | 1,05 |
| 23.00 | 254 | ვესტერლო-ლომელი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.00 | 255 | მუსკრონი-ბრიუგე | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 23.00 | 256 | ანტვერპენი-ლიერსი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 23.00 | 257 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 23.00 | 258 | შარლერუა-მონსი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 259 | ბევერენი-ლუვიე | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.00 | 260 | გენკი-ანდერლეხტი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXX ტური** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 16.30 | 319 | სელტიკი-რეინჯერსი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 19.00 | 320 | დანდი-კილმარნოკი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 321 | ლივინგსტონი-ჰართსი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.00 | 322 | მოზერუელი-აბერდინი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 323 | დანფერმლაინი-პარტიკი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 19.00 | 324 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| | | **ავსტრია. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 356 | ბრეგენცი-შტურმი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 18.30 | 357 | გრაცერი-რიდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 358 | პაშინგი-ადმირა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 359 | პაშინგი-ადმირა 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.30 | 360 | ზალცბურგი-კერნტენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 19.30 | 361 | რაპიდი-აუსტრია | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| | | **ინგლისი. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 21.15 | 379 | არსენალი-ჩელსი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 15.30 | 380 | შეფილდი-ლიდსი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 17.30 | 381 | უოტფორდი-ბარნლი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 20.00 | 382 | საუთჰემპტონი-ვულვერჰემპტონი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **პორტუგალია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 390 | პორტუ-ვარზიმი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 19.00 | 391 | სპორტინგი-ნავალი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 19.00 | 392 | ლეირია-აკადემიკა | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **შოტლანდია. თასი. IV ეტაპი.** | | | | | | |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 406 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 02.05 | 415 | პაისანდუ-სერო პორტენიო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 03.10 | 416 | კოლო კოლო-ინდეპენდიენტე მედელინი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 05.20 | 417 | ორიენტე-ნასიონალი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |


# სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ
რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

ბრომომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

**08.03 18.30 2601** გერმანია ბლ. **(XXIV ტური)**
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9

**08.03 21.00 2602** იტალია "A" **(XXIV ტური)**
23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9

**08.03 22.00 2603** ესპანეთი Iდ. **(XXV ტური)**
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9

**08.03 20.15 2604** საფრანგეთი Iდ.**(XXX ტური)**
22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9

**07.03 23.00 2605** ჰოლანდია Iდ. **(XXIII ტური)**
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9

**07.03 23.30 2606** ბელგია Iდ. **(XXV ტური)**
26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

**07.03 22.00 2607** თურქეთი **(XXIII ტური)**
26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

# ჩემპიონები და თასის აღება

**ჩემპიონები და თასი აღება**
**ჩემპიონთა თასი. 11 მარტი (23.45)**

| | |
|---|---|
| 002 მანჩესტერი | 4,0 |
| 001 რეალი | 5,0 |
| 003 მილანი | 5,0 |
| 004 არსენალი | 6,0 |
| 006 ბარსელონა | 7,0 |
| 007 ინტერი | 7,0 |
| 005 იუვენტუსი | 8,0 |
| 008 ვალენსია | 8,0 |
| 009 დეპორტივო | 15,0 |
| 011 აიაქსი | 20,0 |
| 010 დორტმუნდი | 30,0 |
| 014 ნიუკასლი | 30,0 |
| 012 რომა | 50,0 |
| 016 ბაზელი | 250,0 |
| 015 ლოკომოტივი | 999,0 |

**იტალია. სერია A**
**8 მარტი (21.00)**

| | |
|---|---|
| 063 იუვენტუსი | 2,0 |
| 061 მილანი | 2,6 |
| 062 ინტერი | 2,6 |

**ესპანეთი**
**I დივიზიონი**
**8 მარტი (22.00)**

| | |
|---|---|
| 071 რეალი | 1,25 |
| 073 ვალენსია | 3,0 |
| 072 სოსიედადი | 3,2 |
| 074 დეპორტივო | 7,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**8 მარტი 20.15**

| | |
|---|---|
| 082 ლიონი | 2,5 |
| 081 მარსელი | 2,5 |
| 083 მონაკო | 2,5 |
| 089 ბორდო | 5,0 |
| 084 ოსერი | 7,0 |
| 086 ნიცა | 12,0 |
| 087 ლანსი | 12,0 |
| 088 ნანტი | 12,0 |
| 085 პსჟ | 12,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**
**8 მარტი (22.30)**

| | |
|---|---|
| 101 პსვ | 1,15 |
| 102 აიაქსი | 3,6 |

**საბერძნეთი. I დივიზიონი**
**8 მარტი (18.00)**

| | |
|---|---|
| 121 ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| 122 პანათინაიკოსი | 1,8 |
| 123 პაოკ | 12,0 |
| 124 აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი**
**8 მარტი (17.25)**

| | |
|---|---|
| 191 სპარტა | 1,5 |
| 192 სლავია | 2,0 |

**პოლონეთი. 7 მარტი (22.00)**

| | |
|---|---|
| 196 ვისლა | 1,25 |
| 197 ლეგია | 3,0 |
| 198 კატოვიცე | 5,0 |
| 199 ოდრა | 8,0 |

**თურქეთი. I ლიგა**
**8 მარტი (21.00)**

| | |
|---|---|
| 132 ბეშიქთაში | 1,4 |
| 131 გალათასარაი | 2,3 |
| 133 ფენერბაჩე | 10,0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**8 მარტი (16.30)**

| | |
|---|---|
| 141 რეინჯერსი | 1,45 |
| 142 სელტიკი | 2,2 |

**დანია. სუპერლიგა**
**16 მარტი (18.00)**

| | |
|---|---|
| 151 კოპენჰაგენი | 1,05 |
| 152 ბრიონდბიუ | 4,0 |
| 153 ოლბორგი | 10,0 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**8 მარტი (20.30)**

| | |
|---|---|
| 162 გრასჰოპერი | 1,6 |
| 161 ბაზელი | 1,7 |

**რომელი ქვეყნის კლუბი აიღებს ჩემპიონთა თასს**
**11 მარტი (23.45)**

| | |
|---|---|
| 181 ესპანეთი | 2,0 |
| 182 ინგლისი | 2,2 |
| 183 იტალია | 2,5 |
| 184 გერმანია | 30,0 |

**ჰოკეი. NHL. სტენლის თასი**
**7 აპრილი (23.45)**

| | |
|---|---|
| 201 დეტროიტი | 4,0 |
| 202 დალასი | 4,0 |
| 203 ფილადელფია | 6,0 |
| 205 ნიუ ჯერსი | 6,0 |
| 207 ოტავა | 6,0 |
| 206 კოლორადო | 7,0 |
| 208 ვანკუვერი | 8,0 |
| 209 სენტ ლუისი | 10,0 |
| 212 ტორონტო | 12,0 |
| 204 ბოსტონი | 15,0 |
| 210 ტამპა ბეი | 20,0 |
| 215 ვაშინგტონი | 20,0 |
| 211 მინესოტა | 25,0 |
| 224 აილენდერსი | 40,0 |
| 214 ლოს ანჯელესი | 50,0 |
| 217 მონრეალი | 50,0 |
| 218 ანაჰაიმი | 50,0 |
| 221 ედმონტონი | 50,0 |
| 213 კაროლინა | 75,0 |
| 219 პიტსბურგი | 75,0 |
| 220 ჩიკაგო | 75,0 |
| 222 რეინჯერსი | 75,0 |
| 216 სან ხოსე | 100,0 |
| 223 ფლორიდა | 100,0 |
| 225 ფინიქსი | 100,0 |
| 226 კოლუმბუსი | 300,0 |
| 227 კალგარი | 300,0 |
| 228 ბუფალო | 300,0 |
| 229 ატლანტა | 500,0 |
| 230 ნეშვილი | 500,0 |

**კალათბურთი**
**NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

| | |
|---|---|
| 231 დალასი | 3,0 |
| 232 საკრამენტო | 3,0 |
| 233 ლეიკერსი | 3,0 |
| 236 სან ანტონიო | 7,0 |
| 234 ნიუ ჯერსი | 9,0 |
| 235 ინდიანა | 10,0 |
| 237 ფილადელფია | 20,0 |
| 238 ბოსტონი | 20,0 |
| 241 დეტროიტი | 20,0 |
| 242 პორტლენდი | 20,0 |
| 244 მინესოტა | 30,0 |
| 239 ორლანდო | 50,0 |
| 240 ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 მილუოკი | 50,0 |
| 248 იუტა | 50,0 |
| 246 ფინიქსი | 75,0 |
| 245 სიეტლი | 100,0 |
| 250 ვაშინგტონი | 100,0 |
| 251 ტორონტო | 150,0 |
| 252 ნიუ იორკი | 150,0 |
| 249 ატლანტა | 200,0 |
| 253 კლიპერსი | 200,0 |
| 254 მაიამი | 500,0 |
| 255 ჩიკაგო | 500,0 |
| 256 გოლდენ სტ. | 999,0 |
| 257 მემფისი | 999,0 |
| 258 დენვერი | 999,0 |
| 259 კლივლენდი | 999,0 |



# ჰიუიტი, რა თქმა უნდა, შემოვარდა

## ჯოვანის ქილა ერბოს ზღაპარი არ უსწავლია

**FRANKLIN TEMPLETON TENNIS CLASSIC**

**სკოტსდეილი. ჰარდი**
**საპრიზო 380 ათასი $**

**პირველი წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 7:6 (7:3), 6:3; **ჯოვანი ლაპენტი** (ეკვადორი) — პარადორნ შრიჩაფანი (4, ტაილანდი) 7:6 (7:2), 6:2; **რაინერ შიუტლერი** (5, გერმანია) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 2:6, 7:5, 6:1; **ალექს კორეჩა** (6, ესპანეთი) — დმიტრი ტორსუნოვი (რუსეთი) 6:4, 6:2; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — ხუან იგნასიო ჩელა (7, არგენტინა) 7:6 (7:2), 3:6, 6:1; **არნო დი პასკუალი** (საფრანგეთი) — ლუის ორნა (პერუ) 6:2, 3:6, 6:3; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 (8:6), 6:3; **სკოტ დრეიპერი** (ავსტრალია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 7:6 (7:5); **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — უეინართურსი (ავსტრალია) 7:5, 6:7 (5:7), 6:2

ერთთვიანი უთამაშებლობის შემდეგ დიდ საჩოგნეთს დაუბრუნდა და მილეთი უმალ ჩვეული სიკისკასით გაჩხიბა კაცთა ამქრის 22 წლის უსტაბაშმა ლეიტონ ჰიუიტმა. ცეცხლოვან ოზბიჭს მხოლოდ საათი და 19 წუთი დასჭირდა ესპანელი ფერნანდო ვისენტეს გასაძევებლად და, თუ მის საიქაო სტატისტიკას შევაჯამებთ, სკოტსდეილში ნათამაშებ 15 შეხვედრაში ნაამატჩევს მას უკვე 13 გამარჯვება დაუგროვდა. ეგებ გახსოვდეთ — ჰიუიტი ტურნირის 2000 წლის ჩემპიონი, 1999 წლის ფინალისტი და შარშანწინდელი ნახევარფინალისტია.

რაგინდარა ტურნირზე კი კაცთა პირველოსანი მას შემდეგ არ გამოჩენილა, რაც ოთხი კვირის წინ ავსტრალიელ მეღევისეებს ბრიტანელთა რბევაში დაეხმარა.

სხვაფრივ — შიდაარგენტინულ შეხლაში მესამე ნომრად განთესილმა ნალბანდიანმა გასულ უქმეებზე აკაპულკოში ნაჩემპიონარ კალერის აჯობა.

ჩაიფლავა ტაილანდელმა შრიჩაფანმა, ვინაც იქ რანგით მეოთხე ჩოგანს აქნევდა და ვისაც ავსტრალიის ღია პირველობის ჩათვლით ზედიზედ მეოთხე ტურნირია, მეორე წრის მიჯნა ვერ გადაულახავს. მას გზა უსახელო ეკვადორელმა ჯოვანი ლაპენტიმ გადაუღობა, რომლისთვისაც ეს ძირითად ბადეში (ესე იგი — არა კვალიფიკაციებისას) მოგებული პირველი საიეტიპო მატჩი გახლდათ.

ეს ჯოვანი ჩვენს მიმოხილვებში ერთი თვის წინ, ეკვადორელ მეღევისეთა მიერ ჩილელების ძლევისას ამოტივტივდა. მაშინ მან თვით მარსელო რიოსს მოუგო და — როგორც ახლა ამბობს — სწორედ ნარიოსევს ირწმუნა, რომ ამიერიდან ყველას ძლევა ჩოგანეწიფება.

და კიდევ — ასევე განთესილი ართა ზორბა ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა. იგი ტურნირის 1997 წლის გამარჯვებული გახლავთ და თვისტომ ჰიუიტის დარად, თავადაც რიგიან იქაურ ბალანსს მოიძევს — 2 მარცხის წილ მას იქ 11 გამარჯვება დაეკვეხება.

**INTERNATIONAL TENNIS CHAMPIONSHIPS**

**დელრი ბიჩი. ჰარდი**
**საპრიზო 380 ათასი $**

**პირველი წრე**

**მარდი ფიში** (აშშ) — ენდი როდიკი (1, აშშ) 7:6 (7:4), 4:3 (როდიკმა შეწყვიტა); **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — გილერმო კორია (2, არგენტინა) 7:5, 6:2; **მიხელ კრატოხვილი** (შვეიცარია) — არნო კლემანი (5, საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:5); **რობერტ კენდრიკი** (აშშ) — შტეფან კუბეკი (7, ავსტრია) 6:4, 6:4; **ვინსენტ სპადია** (8, აშშ) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:3, 6:0; **ფერნანდუ მელიგენი** (ბრაზილია) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:3, 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:4, 3:6, 6:3; **მარტინ ვერკერკი** (ჰოლანდია) — რიკარდუ მელუ (ბრაზილია) 7:6 (7:5), 6:4; **ფლავიუ სარეტა** (ბრაზილია) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:4, 6:4

ენდი როდიკის იმედებს, მშობლიურ ქალაქ ბოკა რეიტონთან ახლომდებარე საჩოგნეთში გაპირველებულიყო, ალსრულება წელსაც არ ეწერა. 21 წლის ფლორიდელმა, ვისგანაც წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალამდე გაღწევის შემდეგ გაცილებით მეტს მოელიან, თვისტომ ფიშთან შეხლისას მარცხენა კოჭი გადაიბრუნა და თამაში შეწყვიტა.

ეს როდიკის მეორე საამსეზონო ტრავმაა — გეხსომებათ, პირველად ის სწორედ მელბურნში დაშავდა, სადაც მარჯვენა, მუშა მაჯა იტკინა. მაჯამოშუშებული კორტს მხოლოდ ორი კვირის წინ, მემფისის ტურნირზე დაუბრუნდა, მაგრამ ფინალამდე მისულმა თვისტომ ტეილორ დენტთან დათმო.

შარშან დელრი ბიჩში როდიკმა ფინალამდე იომა და იქ იტალიელ სანგვინეტისთან იძლია.

სხვათა შორის, სანგვინეტიმ წლეულს ტიტულის დაცვას სკოტსდეილში ჩასვლა ამჯობინა და, თუ საჩოგბურთო საქმეებს თვალყურს ადევნებთ, გუშინვე შეიტყობდით, იქ პირველივე წრიდან გამოაძევეს.

ისე კი — როდიკის გარდა იმ დღეს კიდევ სამი განთესილი გავარდა და ტურნირს მთავარმეჩოგნედ მსოფლიოს ოცინდელა მეპირველე მარსელო რიოსი დაურჩა.

**ლევან ძელაურაძე**

# ეიტიპიური სიტუაცია,

## კაცები ფულზე ჩხუბობენ

*კაცთა ჩოგბურთში დიდი ჯანყი მზადდება. მეჩოგნეები, რომლებიც უკვე რახანია, თავიანთ თავს ჩრდილოამერიკელ მილიონერ ათლეტთა — კალათბურთელთა, მობურთალთა და ჰოკეისტთა ბეჩავ ნათესავებად განიხილავენ, ამქრის მამათაგან საპრიზო ფონდების ზრდას მოითხოვენ და დამოუკიდებელი ასოციაციის შექმნით იმუქრებიან*

ჯანყს ორი ვეტერანი — 31 წლის სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირა და 34 წლის ამერიკელი ჯეფ ტარანგო მოთავეობენ. მათ მიერ აყოლიებული' კოლეგები ახალ — კაცთა საერთაშორისო საჩოგბურთო ასოციაციაში (IMTA) ორი კვირის შემდეგ, მაიამის ტურნირზე უნდა გაერთიანდნენ.

ეიტიპის მოთამაშეთა საბჭოს წევრი, 28 წლის ესპანელი ალექს კორეჩა, რომელიც მოჯანყეთა ლიდერ ფერეირას იმ დღეს სკოტსდეილში გაესაუბრა, თვლის, რომ „ჩოგბურთის მამებმა სერიოზულად უნდა შეხედონ ამ ასოციაციის ჩამოყალიბებას."

„ეიტიპიმ უნდა გაიგოს, რომ თუკი ჩვენ რაღაცას ვითხოვთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიმსახურებთ ამას და არა იმიტომ, რომ უბრალოდ თავხედები ვართ" — ამბობს კორეჩა.

„მე ჰალალად პატივს ვცემ ეიტიპის მთავარ აღმასრულებელ მარკ მაილზს და მომწონს კიდეც ის, მაგრამ მანაც უნდა გაუგოს მოთამაშეებს, გაიგოს, რომ ისინი არ იმსახურებენ უგულებელყოფასა და ფეხებზე დაკიდებას."

სხვათა შორის, მისტერ მაილზი, ვინაც ხელფასისა და სხვადასხვა რამე-რუმეების წყალობით წელიწადში ორ მილიონ დოლარამდე შოულობს, ახლა თავადაც სკოტსდეილშია და იქ ჩასულ მეჩოგნეებს „ამუშავებს".

მაილზის აზრით, „მოთამაშეთა დიდი უმრავლესობა ნათლად აცნობიერებს, რომ საჩოგბურთო საქმეთა ადმინისტრირების ამჟამინდელი სისტემა, რომლის მიხედვითაც ისინი ხმათა ნახევარს ფლობენ, მათ იმდენ ძალაუფლებას ანიჭებს, რამდენიც სპორტსმენებს არც ერთ სხვა სახეობაში არ დაეკვეხებათ."

მაგრამ მოთამაშეები სწორედ საწინააღმდეგოს ფიქრობენ — ისინი თვლიან, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებისას მათ ხმას ყურად არავინ იღებს და რომ ისინი სრულად ვერ აკონტროლებენ ეიტიპის განკარგულებაში მყოფ ფინანსებს.

ამ საკითხების გასარკვევად ფერეირამ ახლახან ერთ-ერთი ნიუიორკული იურიდიული ფირმა დაიქირავა.

„ჩვენი მიზანი არ არის ეიტიპის გაუქმება — ამბობს იგი — ჩვენ უბრალოდ გვსურს, ისეთი ხალხი წარმოგვადგენდეს, ვინც ფულს ეიტიპისგან არ იღებს. ჩვენ ისეთი ხალხი გვჭირდება, ვინც იმას გააკეთებს, რასაც ჩვენ ვთხოვთ და არა იმას, რასაც მათ მმართველთა საბჭო უბრძანებს."

კორეჩა, რომელიც მოთამაშეთა საბჭოს ყოფილი პრეზიდენტია, ამბობს, რომ მას ესიმპათიურება ფერეირა და იზიარებს მის პოზიციას.

„უეინი ამაგდარი ვეტერანია. ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ და ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ შევთანხმებულვართ იმაზე, რომ ეიტიპიმ უფრო მეტად უნდა ისმინოს ჩვენი."

„რაღაც თვალსაზრისით თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ეიტიპის ნაწილი ვიყო და სიმართლე გითხრათ, მეამაყება ეს. მაგრამ მოთამაშეთა უმთავრესი შეცდომა ის არის, რომ ჩვენ არასოდეს დავრაზმულვართ, არასოდეს გვიცდია, რაღაც საკითხის გამო ერთობლივი, შეჯერებული პოზიცია შეგვემუშავებინა."

„ახლა, როცა საქმეები ისე კარგად არ მიდის, როგორც ბიჭებს უნდათ, ისინი ერთიანდებიან, რადგანაც ხედავენ, რომ გაერთიანების შედეგად მეტი ფულის შოვნა შეუძლიათ."

შეგახსენებთ, რომ ეიტიპის დირექტორთა საბჭო შვიდი წევრისაგან შედგება. ამ შვიდიდან სამი მოთამაშეთა საბჭოს წარმოადგენს, სამი ტურნირთა დირექტორი გახლავთ, ხოლო მეშვიდე თავად მაილზია.

მაგრამ მოთამაშეთა წარმომადგენლებს — რიკარდუ ასიოლის, ტომას კარბონელსა და გერი მიულერს — ფულს ისევ ეიტიპი უხდის, რაც მოჯანყეთა აზრით, არც ისე რიგიანი ამბავია.

„ფულს ისინი საბჭოსგან იღებენ, ამიტომ, ცხადია, როცა საქმე რაღაც პრობლემატურ საკითხს შეეხება, მათ გაუჭირდებათ საბჭოს საწინააღმდეგო პოზიციებზე დგომა" — ამბობს კორეჩა.

ფერეირა, რომელიც მოთამაშეთა საბჭოში ერთ დროს თავადაც იყო, ამატებს: „მოთამაშეები მეტად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი საჩოგბურთო ბიზნესის შესახებ და ჩვენ გვჭირდება ვინმე, ვისაც ბიზნესმენტალიტეტი ექნება და შეძლებს ჩვენთვის საჭირო, აუცილებელი ყოველგვარი ინფორმაციის მოხვეჭას, რათა ჩვენ დაწვრილებით ვიცოდეთ ყველაფერი, რაც შიგნით ხდება."

„ამჟამად ჩვენ იზოლირებულნი ვართ ეიტიპიში მიმდინარე პროცესებისგან. ჩვენ გვჭირდებიან დამოუკიდებელი პიროვნებები, რომლებიც ორგანიზაციაში ჩვენს უფლებებს დაიცავენ."

მოჯანყეთ ჯერ არა აქვთ დაზუსტებული და ბოლომდე გარკვეული, თუ რის განხორციელებას ეცდება კაცთა საერთაშორისო საჩოგბურთო ასოციაცია (IMTA), მაგრამ მოთამაშეთა განწყობის საფუძველზე უკვე ამთავითვე შეიძლება იმის თქმა, რომ ასოციაცია უწინარესად სლემტურნირთაგან უფრო მეტი ფულის დაცინცვლას ეცდება.

თუმცა ფერეირა ამბობს, რომ სლემთანხათა რაოდენობის ზრდა მოჯანყეთა ერთადერთი მიზანი სულაც არ არის:

„პრობლემა ძალზედ ბევრია. მთავარია, ერთმანეთს შევეხიდოთ და ერთად დავდგეთ, მაშინ ყველაფერი გამოვა."

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონის განმავლობაში 16-მა კაცმა ჩოგნის ქნევით მილიონ დოლარზე მეტი იშოვა, კიდევ ოცდასამის შემოსავალმა კი 500 ათასი დოლარი შეადგინა. კაცთა ამქარს აქაც ლეიტონ ჰიუიტმა უყოჩა, ვისი ბიუჯეტიც იმ წელს 4 619 000 დოლარით გამდიდრდა.

9 მილიონერი და 14 ნახევარმილიონერი მოდის ქალთა სასეზონფინალო სიაზე, რომელსაც 3 935 000 მილიონით უპირველა სერენა უილიამსმა.

**იური ნეიძე**



ალექს კორეჩა



უეინ ფერეირა



ჯეფ ტარანგო



# უგრეხელიძე სინიორ გრიპიანის მლის

**კვირაძე მეტია,** საქართველოს ნაკრების ცენტრი დავით უგრეხელიძე იტალიურ „სიენაში“ ვარჯიშობს, თუმც მისი იქ დარჩენა-არდარჩენის ამბავი ჯერაც გასარკვევია.

„იტალიელები ჯერჯერობით არაფერს მეუბნებიან, „სიენასთან“ ყოველდღიურად ვვარჯიშობ და პასუხს ალბათ საქართველოში წამოსვლამდე მეტყვიან — გვითხრა უგრეხელიძემ, როცა სიენაში დავუკავშირდით — ჩემი გუნდში ყოფნა-არყოფნა კლუბის პრეზიდენტის გადასაწყვეტია, მას კი გრიპი აქვს და საწოლიდან თავს ვერ წევს.“

„სიენამ“ ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი „ულქერის“ ძლევით დაიწყო. ერთი შეხედვით, კარგი შედეგია, მაგრამ იტალიური კლუბის ხელმძღვანელობას მეტი მოუსურვებია და გუნდის გაძლიერებას ეშურება. მათ უკვე დაითხოვეს 3 მოთამაშე, სანაცვლოდ კი 2 შეიმატეს და მალე ალბათ საბოლოოდ დაკომპლექტდებიან.

„ახლა გუნდში 12 კალათბურთელი ვართ, ზუსტად იმდენი, რამდენსაც საევროლიგო განაცხადი ითვალისწინებს. „სიენა“ სერია A-სთან ერთად ევროლიგაშიც იბრძვის და მოთამაშეები რომ არ გადაიღალონ, მსუბუქად გვავარჯიშებენ. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რას ფიქრობენ ჩემზე მწვრთნელები, მათ მითითებებს უშეცდომოდ ვასრულებ და დანარჩენი თავად უნდა გადაწყვიტონ“ — ამბობს ჩვენებური.

უგრეხელიძე თავის მენეჯერ რობერტო რიჩისთან ერთად სასტუმროში ცხოვრობს. თავისუფალ დროს მათთან „სიენას“ ბერძენი ახალწვეული მიხალის კაკიუზისი შეივლის ხოლმე, რომელსაც ქართველი ცენტრი უკვე დამეგობრებია. უგრეხელიძის იტალიურ ვიზას მომავალ ორშაბათს გასდის ვადა და იგი საქართველოში დაბრუნდება. იტალიელები დავითს წამოსვლის წინ ეტყვიან, დაბრუნდეს თუ არა სიენაში.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დენვერმა ფართოდ დახუჭა თვალები
# ამ სახლში კაცები არ არიან?!

4 მარტი

**მაიამი 91:100 მილუოკი**

**მაიამი:** ბესტი (6), ჯეიმსი (10), კ. ბატლერი (15), ალენი (14 ქულა, 12 მოხსნა), გრანტი (20 ქულა, 12 მოხსნა); პაუსი (14), კარტერი (6), რ. ბატლერი (4), ელისი (2), სტეფანია (5 წუთი, 2 მოხსნა)

**მილუოკი:** პეიტონი (17), კასელი (25), დ. მეისონი (17), ე. მეისონი (6), ტომასი (12); კუკოჩი (9), რედი (9), ჯონსონი (5)

**ატლანტა 92:86 დენვერი**

**ატლანტა:** ტერი (17 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), გლოვერი (14), რობინსონი (11), აბდურ-რაჰიმი (30 ქულა, 10 მოხსნა), რეთლიფი (7); ნიუბლი (9), დიკაუ (4), ჰენდერსონი, ჰემი, ჯექსონი

**დენვერი:** ჰარინგტონი (4), იარბრო (11), ჰოვარდი (20), ილარიო (14), ცქიტიშვილი (22 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი); უილიამსი (8), ჰარვი (8), საგოვიჩი (6), ანდერსენი (5), კემბი (4)

**გოლდენ სტეიტი 107:100 ინდიანა**

**გოლდენ სტეიტი:** არენასი (22), რიჩარდსონი (20), დამპიე (20)

**ინდიანა:** არტესტი (32), ონილი (21)

**სიეტლი 92:83 მინესოტა**

**სიეტლი:** ალენი (29), ბერი (19), ლუისი (17)

**მინესოტა:** გარნეტი (22 ქულა, 11 მოხსნა)

**სან ანტონიო 97:104 ფინიქსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (35 ქულა, 21 მოხსნა, 8 პასი, 4 დაფარება)

**ფინიქსი:** მარბერი (35 ქულა, 13 მოხსნა), სტუდემაიერი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**დალასი 88:79 ნიუ ჯერსი**

**დალასი:** ნოვიცკი (24 ქულა, 13 მოხსნა), ნეში (24)

**ნიუ ჯერსი:** მარტინი (18)

**ვაშინგტონი 86:89 ტორონტო**

**ვაშინგტონი:** სტეკჰაუზი (21)

**ტორონტო:** კარტერი (24)

**ნიუ იორკი 89:80 კლივლენდი**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (25) ტომასი (17)

**კლივლენდი:** დევისი (24)

„დენვერ ნაგიტსის“ მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი აშკარა ავანტურაზე მიდის, არც აქვს სხვა გზა, მისი გუნდი დაუსრულებლად აგებს. აგერ, ატლანტაში ზედიზედ მეცამეტედ დამარცხდა და კიდევ უფრო წაიხდინა შელახული რეპუტაცია.

თუ არა ავანტიურა, აბა, რა უნდა დავარქვათ ოთხი ახალბედას დაყენებას სასტარტო ხუთეულში. „ნაგიტსის“ დამწყებთაგან ჰოვარდის გარდა არავის უთამაშია თუნდაც ერთი სრული სეზონი ნბა-ში. ეს ბიჭები ჯერაც სწავლობენ ნამდვილ კალათბურთს და ნბა-ს დღემდე გაფართოებული თვალებით უმზერენ. ამათ შორის ყველაზე ნედლი ჩვენებური ნიკა ცქიტიშვილია, რომელსაც ბზდელიკმა აგერ, ზედიზედ მესამე თამაში დააწყებინა და ელოდება, როდის მოუტანს 19 წლის ქართველი ჭაბუკი ყოველ თამაშში საშუალოდ 10-15 ქულას. ცქიტიშვილი კი აგვიანებს. „ატლანტასთან“ მან 22 წუთში მხოლოდ ექვსი ქულა გააკეთა და 4 ბურთი მოხსნა.

„სარბიელთან“ ერთ-ერთ ინტერვიუში ცქიტიშვილმა აგვიხსნა „დენვერის“ პოლიტიკა — კლუბის ხელმძღვანელები გამარჯვებებს მაინცდამაინც არ გვთხოვენო. თუ მართლა ასეა, ბზდელიკს შესანიშნავი სადაზღვევო პოლისი უდევს ჯიბეში. 13 კი არა, 33 თამაში რომ მიჯრით წააგოს, მგონი, მაშინაც არ გააგდებენ ამ თავმოყვარეობაშელახული გუნდიდან.

4 მარტი მარცხიანი გამოდგა ვლადიმერ სტეფანიას „მაიამისთვისაც“. „ჰიტს“ საუკეთესო მოთამაშე ედი ჯონსი აკლდა, რის გამოც დიდი ჯაფა დაადგა მილუოკელ უკანახაზელთა დევნაში. „ბაქსის“ ორმა გამთამაშებელმა გერი პეიტონმა და სემ კასელმა ჯამში 42 ქულა ჩაუგდეს „მაიამის“ და ნამატჩევს ტრაბახით აიკლეს იქაურობა, აქაოდა, ჩვენი გუნდი ორთავა გველეშაპიაო.

სტეფანიამ მხოლოდ ხუთი წუთი დაჰყო თამაშის ველზე, ასე ცოტა ალბათ იმიტომ, რომ ამ ხანში ბურთი არ უსვრია და შესაბამისად ქულაც არ გაუკეთებია.

შინ, ოკლენდში, მორიგი, თან ძალიან რთული თამაში მოიგო „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა“ და კვლავ გააჩინა მის წინსვლაზე სიტყვის თქმის აუცილებლობა. ეს გუნდი ასე კარგად ბოლოს მაშინ ბურთაობდა, როცა ახლანდელი მოთამაშეების უმრავლესობა ზანგურ გეტოებში, ზანგურ სკოლებში ინგლისურ ანბანს და 10-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლებას სწავლობდა. დღეს არენასი, რიჩარდსონი, ჯემისონი და მათთვის ხელის წამშველებლები იქნება ვერც იგონებენ, ბოლოს როდის გავიდა მათი გუნდი პლეი ოფში. „ვორიორზი“ შესაძლოა ვერც ახლა მოხვდეს დასავლეთის რვა რჩეულს შორის, მაგრამ ამ კონფერენციაში თითქმის წაგებების თანაბრად დაგროვებული მოგებები და „ინდიანასთანა“ ყოჩაღი გუნდების ძლევების გახშირებული პრეცედენტები „გოლდენ სტეიტის“ შექების სურვილს გვიჩენს.

პლეი ოფში გზის გასაკ... „გოლდენ სტეიტს“ ისეთი „მონსტრების“ „გვამებზე“ გავლა მოუწევს, როგორებიც არიან „ფინიქსი“ და „ჰიუსტონი“, რომ აღარაფერი ვთქვათ უკნიდან წამოპარულ „სიეტლზე“. განსაკუთრებით „ფინიქსთან“ ჭიდილი გაჭირდება. მარშან პლეი ოფში ვერმოხვედრილი არიზონელები ყველა ღონეს ხმარობენ წლეულს ამ კოლაფსის თავიდან ასარიდებლად. გუშინწინ თვით „სან ანტონიოს“, იანვარ-თებერვლის საუკეთესო გუნდს მოუგეს. სანანტონიოელმა სუპერფორვარდმა ტიმ დანკანმა ზღაპრულად ითამაშა და ლაჯაბნა „ფინიქსის“ ყოჩაღი, თუმც გამოუცდელი ახალბედა ამარე სტუდემაიერი. დანკანს და მის „სან ანტონიოს“ პასუხი „ფინიქსის“ გამთამაშებელმა სტივენ მარბერიმ გასცა, რომელსაც სანანტონიოელი ცქნაფა ოპონენტი ტონი პარკერი ხელში შემოეფცქნა.

რაც 40 წლისა მოიყარა, მაიკლ ჯორდანმა პირველი თამაში ჩააგდო, მან „ტორონტოს“ მხოლოდ 4 ქულა ჩაუგდო და შეიძლება ითქვას თავისი გუნდის მარცხის პირდაპირი მიზეზი შეიქნა. თუმც ჯორდანს აქვს საპატიო მიზეზი — იმ დღეს მას ზურგში ყრუ ტკივილებმა დაუარა.

**ირაკლი ფირაშვილი**



ჰიუსტონელებმა ედი გრიფინმა და იაო მინგმა დეტროიტელი ბენ ვოლესი მოაშთეს

REUTERS

## ჰოკეი




## რეგულარული ჩემპიონატი

4 მარტი

**ოტავა 4:1 ტორონტო** *0:1 3:0 1:0*

**0:1 გრინი (7), 1:1 ბონკი (27), 2:1 ფიშერი (28), 3:1 რაჩუნეკი (34), 4:1 რედენი (49)**

სეირის მოყვარულები ფრიად ასიამოვნა ამ მატჩმა. თამაშისთვის ვიღას ეცალა, ჰოკეისტები საქმეების გარჩევას გადაჰყვნენ. ყინულზე სიტუაცია მეორე პერიოდშივე დაიძაბა. ოტაველი შონ ვან ალენისა და ტორონტოელი რიჩარდ ჯეკმენის „ისე რა“ ჩხუბს უკვე ძირითადი ძალების — კრის ნილისა და ტაი დომის მუშტი-კრივი მოჰყვა, სადაც დომიმ იმარჯვა. ნილმა კი გულში ბოღმა ჩაიდო და მესამე პერიოდში სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა ბორტთან მშვიდად მოსრიალე დარსი ტაკერს შეაფურთხა. ცხადია, ტორონტოელმა ვერ მოითმინა და მალე ოტავას სათადარიგო სკამთან ღიდი დაკა-დაკა ატყდა. ტაკერი აქტიურობდა, ფიზიკურად არცთუ ძლიერი დარსი აქლემა კრის ნილს ეცა მაგრამ ზედახორაში რას გაარჩევდი, ვინ ვის ურტყამდა.

ყველაფერი ამით არ დასრულებულა. ბოლო წუთებზე დომი მუხთლად მოიქცა, როცა თამაშის გაჩერებისას საბრალო ოტაველ მაგნუს არველსონს ეცა. სანამ მშვიდი შვედი, რომელსაც თავის დღეში არ უჩხუბია) აზრზე მოვიდოდა, დომიმ ორი „ჰუკით“ ცხვირი ჩაუსისხლიანა.

„ნილმა შეაფურთხა ტაკერს და რა, უნდა მოეთმინა?“ — ბობოქრობდა მატჩის შემდეგ ტორონტოს თავკაცი პეტ ქუინი, რომელიც ზემოთ აღწერილ ეპიზოდში ლაშის თავად ჩაება ჩხუბში, ბოლოს კი სიბრაზისგან ყვანჯი ბორტს შეალეწა.

„მე არ მიმიფურთხებია. აგერდნენ და მიზეზს ეძებდნენ. არა უშავს, მომდევნო მატჩებში ვუჩვენებ სეირს“ — წარბშეუხრელად იცრუა ნილმა. თამაშის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ ოტავამ ფლორიდიდან „მოჩხუბარი“ ჯო ტატარენკო შეიძინა. ასე რომ, ალბათ გაგრძელება იქნება.

**კაროლინა 2:4 ბოსტონი** *1:2 0:1 1:1*

**0:1 მიურეი (2), 1:1 ბაიდა (7), 1:2 როლსტონი (20), 1:3 ნუბლი (32), 2:3 ფრენსისი (41), 2:4 ზამუნერი (58)**

**ფილადელფია 3:0 ვანკუვერი** *3:0 0:0 0:0*

**1:0 ჰანდზუში (1), 2:0 ბრაშირი (3), 3:0 სომიკი (9)**

**ბუფალო 1:2 ვაშინგტონი** *0:1 1:1 0:0*

**0:1 ჰელპერნი (20), 1:1 კოტალიკი (37), 1:2 ჰელპერნი (39)**

**აილენდერსი 1:3 ტამპა** *1:3 0:0 0:0*

**0:1 რიჩარდსი (4), 1:1 ბლეიკი (9), 1:2 სან ლუი (16), 1:3 ლეკავალიე (18)**

**პიტსბურგი 1:4 ფინიქსი** *0:0 0:1 1:3*

**0:1 დოუნი (24), 0:2 დოუნი (50), 0:3 ლენგკოუ (52), 1:3 ლინტნერი (59), 1:4 ბუკბერგერი (60)**

**მინესოტა 3:2 ნიუ ჯერსი** *2:0 0:2 1:0*

**1:0 ბრიუნეტი (4), 2:0 ზიუზინი (5), 2:1 მედენი (33), 2:2 ფრიზენი (33), 3:2 მიტჩელი (56)**

**სენტ ლუისი 2:1 ნეშვილი** *1:1 0:0 0:0 1:0*

**0:1 პარტნელი (7), 1:1 დემიტრა (7), 2:1 პაპინო (6)**

**ედმონტონი 2:1 სან ხოსე** *1:0 0:1 1:0*

**1:0 რ. სმიტი (6), 1:1 შენანი (29), 2:1 მარჩენტი (55)**

**ლოს ანჯელესი 1:2 ანაჰაიმი** *0:0 0:1 1:1*

**0:1 ოუთსი (21), 1:1 პალფი (45), 1:2 პოლსონი (58)**



გია თორთლაძე



K-2 — იგივე ჩოგორი. უწყვეტი ხაზით ნაჩვენებია გავლილი გზა, წყვეტილით — გასავლელი

# რა უნდა ქნა, როცა მთაში ქალი უფროსობს

## K-2-დან გამოქცეული თორთლაძე კორეაზე ავიდა

**სხვადასხვა** წლებში არაერთმა ქართველმა მთამსვლელმა დალაშქრა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი. ჰიმალაის სხვა რვაათასიანებიც, მაგრამ ყარაყორუმზე აღმართული ჩვენი პლანეტის სიმაღლით მეორე K-2-ზე, იგივე ჩოგორიზე ასვლა მათგან აქამდე არავის უცდია. და აი, შარშან ასეთი მიზნით ჩოგორის დასალაშქრად წასული და გადაკარგული გია თორთლაძე თბილისში ახლაღა დაბრუნდა, თუმცა, ის კი ვიცოდით, რომ თორთლაძე და კიდევ რამდენიმე მთამსვლელი ექსპედიციასაც და ჩოგორისაც კეთროვანებივით გაეცალნენ და სულ სხვა მთისკენ აიღეს გეზი.

— ჩოგორიზე პოლონელი მთამსვლელების მიწვევით წავედით — გვიამბობს გია თორთლაძე — ჩვენი მიზანი ჩრდილოეთიდან 1982 წელს იაპონელთა მიერ ზაფხულში გაკვალული გზის გავლა იყო. ოღონდ ჩვენი ლაშქრობა პირველი ზამთრის ასვლა უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ამ მარშრუტზე, არამედ საერთოდ ჩოგორიზე. ამიტომ ექსპედიციაც დიდი გამოვიდა. მასში იყო შვიდი პოლონელი მთამსვლელი და მათი თორმეტი თანამემამულე არამთამსვლელი, მათ შორის ოთხი მებარგული, ჟურნალისტებიც და ექსპედიციაში გაურკვეველი ფუნქციის მქონენიც. იყო ხუთი პაკისტანელი მებარგული, ორი მზარეული, ერთი ტაშკენტელი, ილია ტუხვატულინი, ალმაათელები ვასილ პივცოვი, დენის ურუბკო, მე და ექსპედიციის მეთაური კრისტოფ ველიცკი. 35 დღის მერე სწორედ მისი უთავბოლო მეთაურობის გამო ექსპედიცია მე, ტუხვატულინმა და პივცოვმა მივატოვეთ, ურუბკომ კი ხათრი ველარ გაუტეხა და დარჩა, თუმცა თავადაც დარწმუნებული იყო, რომ ველიცკის გადამკიდე მწვერვალს ველარავინ მიაღწევდა...

**— ვიდრე ჩოგორიზე წარუმატებლობის მიზეზებზე და მერე სხვა მწვერვალზე წარმატების ამბავზეც მოგვითხრობდეთ, იქნებ ჯერ იმაზე გვიამბოთ, როგორ მოხვდით K-2-ის ძირში. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ თქვენ ხართ პირველი ქართველი, ვინც ყარაყორუმის მთებში მოხვდა.**

— თბილისიდან ბაქოში გადავფრინდი, იქიდან — ბიშკეკში, მერე ტურუგარტის უღელტეხილით ჩინეთის ქალაქ კაშგარში მანქანებით გადავედით, კაშგარიდან ორი დღე ჯიპებით ვიარეთ, ჯიპებით ჯაყჯაყი აქლემებით ხუთდღიანმა ლაშქრობამ შეცვალა, ბოლოს კი ჩამოვქვეითდით. პირველ იანვარს მე და ტუხვატულინმა მწვერვალზე პირველი 250 მეტრი თოკი დავკიდეთ და ზემოთ კიდევ 150 მეტრი ავიტანეთ...

**— ეგ როგორ, პაკისტანში არ გადასულხართ? ჩოგორიზე ხომ პაკისტანიდან ადიან.**

— მართლაც, ამ მწვერვალზე თითქმის ყველა ტრადიციულად პაკისტანიდან ცდილობს ასვლას, ბოლო წლებში კი თითო-ოროლა ექსპედიცია ჩინეთიდან უტევს. ასე იყო თუ ისე, ყოფილმა საბჭოელებმა, ოთხმა კაცმა, პირველი საიერიშო ბანაკი 6200, მეორე კი 6700 მეტრ სიმაღლეზე დავდგით. ოთხივემ მარშრუტი ზემოთაც დავამუშავეთ და 1700 მეტრი თოკი დავკიდეთ, დანარჩენმა შვიდმა პოლონელმა მთამსვლელმა კი მხოლოდ 650 მეტრი თოკის დაკიდება მოახერხა. ამასობაში 35 დღე მიილია, მწვერვალამდე კი კიდევ ორჯერ მეტი თოკის დაკიდება იყო საჭირო. ასეთი ტემპით გაზაფხულამდე ვერ ავიდოდით და მიზნისთვის რომც მიგვეღწია, ეს უკვე ზამთრის ასვლა აღარ იქნებოდა. ან გაზაფხულამდე იქ რა გაძლებდა, როცა გამუდმებით შიმშილის გრძნობა გვქონდა. ექსპედიციაში საერთოდ არ იყო ხორცი, ხილი, ბოსტნეული და კიდევ სხვაც ბევრი რამ საკვები. ეგ კი არა, ექსპედიციის მეთაურმა საზაფხულო კარვები დაგვახვედრა, ისეთი, ზღვის სანაპიროზე, პალმის ძირში დასადგმელად რომ გამოდგება. არადა, ჩოგორის ფერდობებზე 30 გრადუსი ყინვა იყო. ექსპედიციაში ექვსი სასიმაღლო კარავი გვქონდა და ექვსივე — ჩემი ჩატანილი. იმის ნაცვლად, რომ კარვები ბანაკებში დაგვედგა და იქ დაგვესვენა, ზევით-ქვევით დაგვქონდა, მათი დადგმააყრა დიდ ენერგიას გვართმევდა. თითოს ორის ნაცვლად ერთი ჟანგბადის ბალონი გვქონდა, არც მათი სასუნთქი ნიღბები გვყოფნიდა, არც ყინულის პალოები, არათუ კარაბინები... ოთხ მთამსვლელს არც სასიმაღლო კარიმატი ანუ ლეიბი ჰქონდა მაშინ, როცა მასზე საბაზოში მხართეძოზე წამოწოლილი მთამსვლელები კოტრიალობდნენ. მათ შორის ერთი ჟურნალისტი ქალი იყო, როგოზინსკა. ექსპედიციის მეთაურის ნაცვლად ყველა საკითხს ის წყვეტდა და იმ საქმეში ერეოდა, რისიც არაფერი გაეგებოდა. პოლონელები მის ხუშტურებს რატომღაც მოთმინებით იტანდნენ, მე კი იმის სისულელეებს ვეღარ ვუძლებდი და აღდებულად პანი მონიკას ვეძახდი. ბოლოს, როცა ექვსმა კაცმა ექსპედიციის მეთაურის ამ და სხვა შეცდომების გამო ფეხები მოიყინა და ერთს, მგონი, თითი საამპუტაციოც გაუხდა, პოლონელ მთამსვლელებს კი 7500 მეტრ სიმაღლეზე თავზე კარავი დაემხოთ და მისი აღდგენა ველარ შეძლეს, მე, ტუხვატულინს და პივცოვს მოთმინების ფიალა აგვევსო, დავკარით ფეხი და ექსპედიცია მივატოვეთ. იმ დროისთვის საქმის მხოლოდ 40 პროცენტი იყო გაკეთებული, დანარჩენი 60 პროცენტი კი უფრო პრობლემატური იყო, რადგან გაცილებით დიდ სიმაღლეზე უნდა გადაწყვეტილიყო.

**— გვახსოვს, შარშანწინ მაკალუზე ასვლას რომ ცდილობდით, ექსპედიციის ხელმძღვანელი მაშინაც კრისტოფ ველიცკი იყო და მან მაშინაც გადაგრიათ, როცა თავისი უთავბოლობით მარშრუტი სამჯერ შეცვალა. პრიმუსებიც უვარგისი წამოიღო... კი მაგრამ, მასთან ექსპედიციაში ახლა რამ წაგიყვანათ?!**

— ვიფიქრე, იმ შეცდომებს გაითვალისწინებდა, მაგრამ უარესი ქაოსი იყო.

**— იმ ექსპედიციის შესახებ რომ ვწერდით, მკითხველს ველიცკის დამსახურებათა ნუსხაც გავაცანით. მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ასვლები განუხორციელებია, მაგრამ, ეტყობა, ექსპედიციის მეთაურობის უნარი არა აქვს.**

— აბა, რა გითხრათ? ამაზე რომ ვფიქრობ, მგონია, ყველაფერი შეგნებულად ხდებოდა, მაგრამ უმჯობესია, გავჩუმდე...

**— ჩოგორის ექსპედიციიდან გამოქცეული სადღა გადაიხვეწეთ?**

— მე, ტუხვატულინმა და პივცოვმა ვიფიქრეთ, შინ ასე ხელცარიელნი როგორ დავბრუნდეთო და რაკი გზად ბიშკეკიც უნდა გამოგვევლო, გადავწყვიტეთ, ტიან-შანის მთებში ალა არჩას ხეობაში აღმართულ 4740 მეტრი სიმაღლის მწვერვალ კორეაზე ავსულიყავით. მასზე ყველაზე რთული, ამერიკელი ბარბერის მარშრუტით ავედით. 900-მეტრიანი და 60-გრადუსიანი საშუალო დახრილობის ყინულოვანი კედელი გავიარეთ, ზოგან დახრილობა 75-80 გრადუსი იყო. მარშრუტი უმაღლესი, 5ბ კატეგორიის სირთულისა იყო. ასვლაზე რთული ჩამოსვლა იყო, რადგან იმავე გზით დავეშვით, თანაც კედელზე დაგვაღამდა და სავალს ფარნებით ვიკვლევდით.

**— გვახსოვს იმავე რაიონში რუს რუჩკინთან ერთად ზამთარში ბაიჩეჩეკზე ყინულოვანი მარშრუტი გაიარეთ. მაშინ ამბობდით, ეს ჩემს მიერ გავლილი ყველაზე რთული ყინულოვანი მარშრუტიაო. ბაიჩეჩეკსა და კორეას თუ ერთმანეთს შევადარებთ...**

— იგივეს ვიტყვი, ოღონდ უკვე კორეაზე.

**ავთანდილ ჭყვიშილი**



ტიან-შანურ კორეაზე გაყვანილი ბილიკი



გია თორთლაძე ყინულოვან კედელზე

# მსოფლიო ომი დოპინგის წინააღმდეგ

**ამ დღეებში** დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში მსოფლიოს მრავალი კუთხე-კუნჭულიდან ჩავიდნენ ჰალსტუხიანი და პორტფელიანი ძიები. კოპენჰაგენი გუშინ მსოფლიოს ანტისადოპინგო სამიტს მასპინძლობდა. მსოფლიოს ანტისადოპინგო სამსახურმა შეიმუშავა და დანიაში მსოფლიოდან ჩასულ ძიებს წარუდგინა სადოპინგო კანონთა ახალი დაფა, რომელიც იმდენად მკაცრია, რომ შემდგენელ-მომწონებლებს სწამთ, ახალი კანონებით და სანქციებით სტიმულატორებს საბოლოოდ თუ არ ამოძირკვავენ, საფუძვლიანად მაინც გამარგლავენ მსოფლიოს სპორტს მოდებულ ამ სარეველას.

ახალ კანონთა კრებულს „კოპენჰაგენის დეკლარაცია" თან „რევოლუციური" ეცოდა, რაკი ის ერთიანად შეცვლის დოპინგკონტროლის სისტემას. „ეს დეკლარაცია ქაღალდის ნაგლეჯი კია, მაგრამ ზედ ოქროს სიტყვები წერია — ამბობს დანიის სპორტის მინისტრი ბრაიან მიკელსენი — ჩვენ უნდა შევქმნათ ერთიანი ფრონტი ამ მამაძაღლობის წინააღმდეგ."

„ეს უმნიშვნელოვანესი დღეა სპორტის ისტორიაში" — ჟაკ როგი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

სამიტმა საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. თუმცა დარბაზი ათეულობით ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლის (სპორტის მინისტრი და მისთ.), მსოფლიოს სპორტის გამრიგეეთაგან სულ კი დაახლოებით 1 000 კაცისაგან შედგებოდა, ახალი კანონების წინააღმდეგ არავინ წასულა. პირიქით, დეკლარაციას საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი 49 ქვეყნის, მათ შორის ამერიკის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, ავსტრალიის, გერმანიისა და სხვათა წარმომადგენელმა. ახალი კანონით მალევე შევა ძალაში და უკვე იბატონებს 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე.

ახალი კანონები ძველებზე ერთიორად მკაცრია. მაგალითად, რაგინდარა სახის აკრძალული პრეპარატის ხმარებაში მხილებული, რაგინდარა რა სახეობის წარმომადგენელი სპორტსმენი მინიმუმ ორი წლით გამოეთხოვება რაგინდარა შეჯიბრში მონაწილეობის უფლებას. იქნება უფრო მკაცრი სანქციებიც. მთავარი კი ისაა, რომ ყველა კანონი ერთიანი იქნება და მას დაემორჩილება ყველა ქვეყნის ყველა სპორტული ფედერაცია, რომელიც მსოფლიოს სპორტის დიდი ოჯახის წევრია. მანამდე ყველა ფედერაცია თავის ჭკუაზე განსჯიდა და დასჯიდა დოპინგით მომამაძაღლე სპორტსმენს, ახლა კი ამ სამიტის მონაწილეთა მიზანია, დოპინგთან ბრძოლა გახდეს ერთიანი, ინტენსიური, დროული და ჰარმონიზებული. უნდა იყოს ერთიანი სტანდარტები და შესაბამისად სანქციები.

იქვე ამ მსოფლიო სპორტის გამგეთა შეკრებაზე გულისტკივილით აღინიშნა, რომ სამიტი ჩატარდა ამერიკის პროფესიული ლიგების (NBA, NHL, MBL — ბეისბოლი, NFL — ამერიკული ფეხბურთი) წარმომადგენლების გარეშე. ეს ლიგები არ არიან ვალდებულნი, ანტისადოპინგო კამპანიას თავიანთი სურვილისდა საწინააღმდეგოდ შეუერთდნენ. მსოფლიოში არც ერთ უწყებასა თუ პიროვნებას არა აქვს ბერკეტები, რომ ისინი ამაში აიძულოს, რამეთუ ეს ლიგები არიან ამერიკის მთავრობისგან დამოუკიდებელნი და გაჩნიათ დაფინანსების იზოლირებული წყაროები. სპორტული მსოფლიო და, მათ შორის ამერიკის სპორტის სამინისტრო მოუწოდებს მათ, სამყაროს ანტისადოპინგო ფერხულში აჰყვნენ.

ისე კი, ვთქვათ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ვერ ჩაერევა, ვთქვათ, ნბა-ს შინაურ საქმეებში და ვერ მოსთხოვს, ვთქვათ, ალენ აივერსონს დოპინგზე შემოწმებას, მაგრამ ნბა-ს მოთამაშეები ისევე, როგორც ყველა სხვა სპორტსმენი, დაექვემდებარება დოპინგკონტროლს ოლიმპიადაზე.

**ირაკლი ფირაშვილი**

*შარშან ვინმეს რომ ეთქვა, პორტუგალია ევროპის ერთა თასის ფავორიტიაო, გიჟად ჩათვლიდნენ. ქვეყანაში, სადაც რაგბი ოდენ სამ ქალაქში – ლისაბონში, პორტუსა და კოიმბრაში სულდგმულობს და სანთლით რომ ეძებო, მხოლოდ 3 ათას 600 სხვადასხვა ჯურისა და დონის მორაგბეს შეაგროვებ, მსოფლიოს თასზე გასვლაზე არა, და, ერთა თასის საშუალო გუნდობაზე კი ოცნებობდნენ*



პორტუგალიელები ქართველებთან ბრძოლაში გამოიწვრთნენ

[illegible] ფოტოები



ტომაშ მორაიში

# პორტუგალიამ მგლობა დაიჯერა

## ჩვენ კიდევ ბევრს შევჭამთ

წლეულს ეს ოცნება უკვე ახდა: პორტუგალია აღარაა უწყინარი და ძლიერთათვის საცდელი პოლიგონი. პირიქით „ლობოსებმა" (პორტუგალიის ნაკრების მეტსახელია) ერთა თასის ორ ვეშაპს, რუმინეთსა და საქართველოს უკვე წაატეხინეს კისერი და იგივეს უპირებენ რუსეთსაც. და რა გამოდის? დიდი შანსია, მკვდრეთით აღმდგარმა პორტუგალიამ მთავარი სენსაცია მოახდინოს და წლევანდელი ერთა თასი მოიგოს.

„შარშან ჩვენ წარმატებული საერთათასო კომპანია გვქონდა. ბოლო წუთებზე დავმარცხდით რუმინეთთან, საქართველოსთან და რუსეთთან. მოვუგეთ ესპანეთსა და ჰოლანდიას, რითაც უიმედო მაჩანჩალას რეპუტაცია მოვიშორეთ. წლეულს კი უკვე ვიზეიმეთ ორი ისტორიული გამარჯვება. წინ სამად სამი თამაშია, რომელთა მოგება სასწაულის სფეროს სულაც არ განეკუთვნება — ამბობს პორტუგალიელთა მწვრთნელი ტომაშ მორაიში, უწინ „კასკაის" მორაგბე და 1985-96 წლებში ნაკრების უკანახაზელი — „ნაკრები ახლა მოზარდს წააგავს, რომელსაც კარგი კვება სჭირდება. თუ მას ეს წყარო შეუწყდა, დაიჩაგრება და უსახლკარო მათხოვარს დაემსგავსება."

იმისთვის, რომ „ლობოსებმა" აკრეფილი სიჩქარე არ დააგდონ, მორაიში ცდილობს ფულიანი ბიძები რაგბით „მოწამლოს". „დროა, ბიზნესმენებმა და სახელმწიფო ჩინოვნიკებმა რაგბიზეც იფიქრონ. მესმის, რომ რაგბი ფეხბურთს ვერ გაუწევს კონკურენციას, მაგრამ ფულის კეთებაზე თუ მიდგა საქმე, აქაც შეიძლება სარგებლის ნახვა. მინდა, დაველაპარაკო მთავრობის მოხელეებს და ერთობლივად შევიმუშავოთ პროექტი, რომელიც პორტუგალიაში რაგბის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და ამასთან, შემოსავალსაც მოიტანს."

მორაიში განათლების სამინისტროს სთხოვს, რომ სკოლებში რაგბი სავალდებულო საგნად, პირობითად ფიზკულტურის ნაცვლად შეიტანონ და სპეციალიზირებული სკოლებიც გახსნან. „თუ ეს ყველაფერი გაკეთდა, პორტუგალიაში რაგბი არ ჩაკვდება, პირიქით, თუ მთავრობაც დაგვეხმარება, ვინ იცის, იქნებ მსოფლიოს თასზეც ვითამაშოთ" — ამბობს მორაიში.

მსოფლიოს თასამდე და ოცნების ზღვარამდე პორტუგალიას ოთხი წელი აშორებს. მანამდე კი წლევანდელი ერთა თასია, რომელშიც „ლობოსები" (მგლები) უკვე ფავორიტები არიან. „თუ ერთა თასი მოვიგეთ, ეს იქნება ისტორიული მოვლენა. ვინმე იფიქრებდა, რომ პორტუგალია რუმინეთსა და საქართველოს დაამარცხებდა — კითხულობს მორაიში და იქვე აგრძელებს — ამით ჩვენ უკვე შევქმენით ისტორია."

ერთა თასის მომდენო ტურში, 9 მარტს, პორტუგალია ჩეხეთს მასპინძლობს, 23 მარტს ესპანეთს და ახლოსაა, თავის მატიანეში კიდევ ერთი ღირშესანიშნავი ფურცელი ჩაწეროს — მიჯრით მოიგოს 4 მატჩი. ტურნირის ბოლოს, 29 მარტს, პორტუგალია რუსეთს სტუმრობს და ვინ იცის... „ჩვენ მშიერ მგლებს ვგავართ, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტ მსხვერპლს ეძებენ. იმედია, მადა ტურნირის ბოლომდე გაგვყვება" — ამბობს მორაიში.

**ბაჩო სვანიძე**

# ოვალური კვადრატი

## სათავისო ტურნირზე ითამაშებს ოთხი ზე

**წლევანდელი** მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიდან მოკვეთილ რუსეთის ნაკრებს ევროპის ერთა თასის გასრულების შემდეგ საუქმოდ არ ეცლება.

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) ახალი ოთხგუნდა ტურნირი დააარსა და მასში ადგილი ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებსაც მიუჩინა. IRB დიდად არის დაინტერესებული, სარაგბო რუქა გაამრავალფეროვნოს და გაზარდოს. ამიტომაც გათვლა მრავალმილიონიან ქვეყნებზე გააკეთა და მათთვის ახალი, ცალკე ტურნირის ფორმატი შეიმუშავა. ლაპარაკია ახალდაარსებულ „ზესახელმწიფოთა თასზე" (SUPER POWERS CUP), რომელშიც აშშ, რუსეთი, იაპონია და ჩინეთი იმონაწილეებენ. ტურნირი ერთწრიანია და წლეულს 5 მაისიდან 19 ივლისამდე გასტანს. IRB-ის ვარაუდით, ერთი რომ, არასარაგბო ჩინეთში ოვალური ბურთაობა მოიკიდებს ფეხს, მეორე — იმავე ჩინეთის, იაპონიის, რუსეთის და აშშ-ის ერთობლივი შეჯიბრი გვარიან შემოსავალს მოიტანს, რაკი მათი ეკონომიკა მყარია და სპონსორებიც უფრო და უფრო ცხოველ ინტერესს იჩენენ სუპერსახელმწიფოთა ექსპერიმენტული ტურნირისადმი.

**SUPER POWERS CUP 2003**

17 მაისი
**აშშ — იაპონია**

25 მაისი
**იაპონია — რუსეთი**

31 მაისი
**ჩინეთი — იაპონია**

28 ივნისი
**რუსეთი — ჩინეთი**

12 ივლისი
**ჩინეთი — აშშ**

19 ივლისი
**რუსეთი — აშშ**



# მინარდი

გუნდი დაარსდა 1972 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1985 წლიდან
287 რბოლა; 30 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი მეშვიდე ადგილი (1991)
2002 წელს დაიკავა მეცხრე ადგილი (2 ქულა)
**პრეზიდენტი:** პოლ სტოდარტი
**აღმასრულებელი დირექტორი:** ჯანკარლო მინარდი
**ტექნიკური დირექტორი:** გაბრიელე ტრედოცი
**ბოლიდი:** „მინარდი PS03"
**ძრავა:** „ფორდ კოსუორტი CR-3"
**საბურავები:** „ბრიჯსტოუნი"
**ტესტპილოტი:** სერგეი ზლობინი (რუსეთი)






| ჯასტინ უილსონი | იოს ფერსტაპენი |
|---|---|
| **დიდი ბრიტანეთი** | **ჰოლანდია** |
| დაიბადა 1978 წლის 31 ივლისს შეფილდში | დაიბადა 1972 წლის 4 მარტს მონტფორტში |
| ცხოვრობს ნორთჰემპტონში (ინგლისი) | ცხოვრობს მონტე კარლოში |
| უცოლო | ცოლშვილიანი |
| სიმაღლე 192 სმ; წონა 80 კგ | სიმაღლე 175 სმ; წონა 73 კგ |
| 2001 წლის „ფორმულა 3000"-ის მსოფლიოს ჩემპიონი | დებიუტი ფორმულა 1-ში: ბრაზილიის დიდი პრიზი (1994) |
| 2002 წელს — ტესტები „მინარდიში" | 91 რბოლა; 17 ქულა |
| ფორმულა 1-ის დებიუტანტი | საუკეთესო შედეგი — X ადგილი (94) |
| minardi F1 | ასპარეზობდა „ბენეტონში" (1994), „სიმტეკში" (1995), „ეროუსში" (1996, 2000-01), „ტირელში" (1997), „სტიუარტში" (1998) |

# პატარა სკუდერია რუსებს შეეკრა

FORMULA 1

**იტალიელი** ბიზნესმენის ჯანკარლო მინარდის გუნდი 18 წელია, „სამეფო რბოლებში" დაჯირითობს, მაგრამ ხეირიანი შედეგისთვის ერთხელაც ვერ მიუღწევია. კონსტრუქტორთა თასზე 1991 წლის სულ რაღაც მეშვიდე ადგილი საფორმულო სუფრასთან რა მოსატანია. უარესი კი ის გახლავთ, რომ „პატარა სკუდერიის" პილოტებს დღემდე ერთი პოდიუმიც არ ღირსებიათ.

ასეთი უსახური ჯახირის უმთავრესი მიზეზი, ცხადია, ფინანსური ხელმოკლეობაა და რა გასაკვირია, რომ შეფი ლობე-ყორეს ედებოდა თავისი პირმშოს გადასარჩენად. სინიორ ჯანკარლოს მწვანე კონტინენტიდან მოევლინა მხსნელი აერომაგნატ პოლ სტოდარტის სახით. ავსტრალიელმა მილიარდელმა შარშანწინ „მინარდის" აქციების პაკეტი შეიძინა და მისი ჭაობიდან ამოყვანის გრძელვადიანი გეგმაც შეიმუშავა, თუმც გუნდს ფულნაკლებობა მაინც ყოველ ნაბიჯზე ახსენებს თავს. სტოდარტ-მინარდის საჯინიბომ გასული სეზონის ბოლოს ბობოლა სპონსორს მიაგნო უმდიდრესი კომპანიის, რუსული „გაზპრომის" სახით და თითქოს ეშველა კიდეც, მაგრამ პრობლემები მეტ-ნაკლებად ისევ აქტუალურია.

შარშანდელი უხეირო „აზიატექის" ძრავების ნაცვლად „მინარდებს" ამიერიდან უფრო მძლავრი, ოღონდ ბევრად ძვირი „ფორდკოსუორტის" მოტორები ექნებათ, რომელთა საფასურიც ყოველი რბოლის წინ უნდა გადაუხადონ ამერიკულ-ბრიტანულ ფირმას. სტოდარტის თქმით, საწყის სამ-ოთხ ეტაპზე გუნდს ამ მხრივ სირთულეები არ შეექმნება, მერე კი: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ფორმულა 1-ში ვიქნებით წლევანდელი სეზონის ბოლოსაც, ოღონდ საკითხავი ისაა, თუ რა მდგომარეობაში მივალთ ფინიშზე. ძალიან კი გაგვიჭირდება, მაგრამ იმედი მაქვს, შარშან გაკოტრებული „ეროუსის" ბედს არ გავიზიარებთ და თავს როგორმე გადავირჩენთ."

მეძრავეების გარდა პატარა სკუდერიელებს მებორბლეებიც და მძღოლებიც ახლები ჰყავთ. ფრანგული „მიშლენის" ნაცვლად საბურავებით იაპონური „ბრიჯსტოუნი" მოამარაგებს, მძღოლობას კი შვიდსეზონნარბოლი ჰოლანდიელი იოს ფერსტაპენი და აყლაყუდა(192 სმ) ახალბედა ინგლისელი ჯასტინ უილსონი გასწევენ.

რუსების როლი „მინარდის" შველის პროექტში მხოლოდ „გაზპრომით" არ შემოფარგლულა. გუნდის ტესტპილოტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეცვლის ძირითად მრბოლებს, გახდა 32 წლის სერგეი ზლობინი და უკვე კარსმომდგარ სეზონშიც იქნებ არაერთხელ გაიჯირითოს კიდეც.

ახალი „მინარდის" პრეზენტაცია გუშინ მელბურნში ფედერაციის მოედანზე შედგა. აუტსაიდერი საჯინიბო პომპეზურ წარდგენას მოერიდა, რაკი საამისო არც ფული აქვს და არც მიზეზი. სტოდარტმაც, მართალია შარშან ავსტრალიურ ეტაპზე მეხუთე ადგილი მოვიპოვეთ, მაგრამ სადღეისო ვითარებიდან გამომდინარე, იმითაც სავსებით კმაყოფილი ვიქნები, თუკი ერთ-ერთი ჩემი პილოტი კვირას ათეულში აღმოჩნდებაო.

**გია ახალაძე**




REUTERS მელბურნიდან

ახალ „მინარდის" საბურველი გუშინ მელბურნში გადახადეს

# გრან პრის მესამე

პეტერბურგში ახლახან გასრულებულ ფიგურული სრიალის დიდი პრიზის გათამაშებაზე წყვილთა პირველი და მეორე ადგილები მასპინძელმა რუსებმა დაიჭირეს, მესამეზე კი, აი, ეს საოცრად გაშლილი წყვილი გავიდა. ბულგარელები არიან: ალბენა დენკოვა და მაქსიმ სტავისკი, რომელიც სინამდვილეში რუსია.



REUTERS



REUTERS

# ვიქტორია მილანში

ბექჰემიანთ რძალს, ვიქტორიას გული მილანის მოდის სამყაროსკენ უწევსო, ამბობენ და აი, დასტურიც. ვიქტორია ბექჰემი (მარცხნივ) და მისი და ლუიზ ადამსი ამ ქალაქს სწვევიან და პოდიუმზე გამოსულ ნაომი კემპბელს უცქერენ. მოკლედ, მილანში დოლჩესა და გაბანას მოდების ჩვენებაა.

# ვანკუვერის სურვილი

ვანკუვერში ზედიზედ იმართება 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის კამპანიის აქციები. კანადის ამ დიდებულ ქალაქში მართლაც ძალიან სურთ, რომ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლონ. ამ უქმეებზე იქ დიდი რალი გაიმართა და ოლიმპიური სიმბოლიკაც გამოჩნდა. დეიდა ტესი ბენკერმა თავის იორკშირულ ტერიერს ოლიმპიური მოსასხამი მოარგო.



REUTERS

# მოიცალა

დანიის პრემიერმინისტრი ანდერს ფოგ რასმუსენი სლოვაკეთშია ოფიციალური ვიზიტით და იმის დრო კი გამოუნახავს, რომ სამთო კურორტზე გაენავარდნა. აბა, რის ჩრდილოელია, თოვლი არ დაავემოვნოს.



REUTERS



REUTERS

# რბოლის წინ

ამ უქმეებზე ფორმულის სეზონი იხსნება ავსტრალიის დიდი პრიზით და გუნდებიც მელბურნის საჯინიბოებში ფუსფუსებენ. „ფერარისა“ და მსოფლიოს ლიდერ მიხაელ შუმახერს კი სხვა გუნდთან ყოფნაც მოუსწრია და მისი საყვარელი ფეხბურთიც უთამაშია ადგილობრივ მოყვარულებთან ერთად.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თოკრთქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარტალიანი, პაატა კვარტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, [illegible] ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვლაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში კანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია პესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ირინა გოგილაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge